

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა
ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა „განათლების მეცნიერებები“

სოფიო კაპანაძე

ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების
ხელმისაწვდომობისა და განათლების პროცესში ინტეგრაციის
კვლევა

(საჩხერის რაიონის სკოლების მაგალითზე)

ნაშრომი შესრულებულია განათლების მეცნიერებების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: რუსუდან სანაძე
თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული
პროფესორი, განათლების მეცნიერებათა დოქტორი

თბილისი

2019

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი ეხება ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობისა და მათ სასწავლო პროცესში ინტეგრაციის კვლევას. დღესდღეობით წარმოდგენელია ცხოვრება ტექნოლოგიების გარეშე. ტექნოლოგიები ჩარ-თულია ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში და დიდ დროსა და ძალისხმევას უზოგავს ადამიანს. ინფორმაციულმა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ჩასართავად განათლებაში დიდ ყურადღებას უთმობენ სხვადასხვა ქვეყნები, რადგან მისი მეშვეობით სასწავლო პროცესი ხდება მეტად მრავალფეროვანი, მოსწავლეთათვის მიმზიდველი, სტიმულის მომცემი. ასევე ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება გაკვეთილის მსვლელობის დროს ერთ-ერთი ეფექტური თვალსაჩინოებაა, რაც ადვილად აღსაქმელს და გასაგებს ხდის მოსწავლეთათვის მიწოდებულ ახალ ინფორმაციას. სწორედ ამიტომ სახელმწიფო ბევრ ნაბიჯს დგამს, როგორც ისტ-ის ხელმისაწვდომობის გასაზრდელად, ისე მისი განათლებაში ინტეგრაციისათვის. როგორც ქართული, ასევე უცხოენოვანი კვლევების გაცნობის შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღევანდელი განათლების პროცესი ტექნოლოგიების გარეშე ნაკლებად საინტერესო და ინფორმაციულია, ამიტომ ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობისა და განათლებაში ინტეგრაციის კვლევა **აქტუალურია**.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მოვიძიეთ ბევრი ლიტერატურა და კვლევები, თუმცა აღმოჩნდა, რომ მსგავსი ფართო მასტაბის კვლევა საჩხერის რაიონში არ ჩატარებულა, ამ რაიონში ჩატარებული კვლევები შემოიფარგლება მხოლოდ ცალკეული სკოლებით. აქედან გამომდინარე ჩემი კვლევა წარმოადგენს **სიახლეს**.

სხვადასხვა ლიტერატურისა და კვლევების გაცნობის შემდგომ, შევიმუშავეთ **ჰიპოთეზა**: მასწავლებლები ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს სწავლების პროცესში ნაკლებად იყენებენ. მასწავლებელთა დაბალი მზაობა ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების მხრივ. მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის ისტ-ის დაბალი ხელმისაწვდომობა.

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია, გამოვლენა თუ არის ხელმისაწვდომი ისტ-ი რეგიონის სკოლების მოსწავლეებისა და მასწავლებელთათვის და როგორ არის ინტეგრირებული ისტ-ი საჩხერის რაიონის სკოლებში. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, დავისახეთ შემდეგი ამოცანები:

- მეორეული ინფორმაციის დამუშავება/არსებული ლიტერატურის მიმოხილვა საქართველოსა და უცხო ქვეყნის მაგალითზე;
- საკითხის/პრობლემის განსაზღვრა;
- კვლევის მეთოდოლოგიის შემუშავება;
- კვლევა;
- კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზი;
- დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება

სამაგისტრო ნაშრომის კვლევის საგანია საჩხერის რაიონის სკოლებში ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა და მათი ინტეგრაცია. ხოლო ობიექტი ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობისა და ინტეგრაციის პროცესი.

კვლევის მეთოდები: თვისებრივი კვლევა, კერძოდ, დოკუმენტაციის, შესაბამისი კვლევებისა და ლიტერატურის ანალიზი. ასევე ჩაღრმავებული ინტერვიუ. რესპონდენტებად მიზნობრივად შეირჩა საჩხერის რაიონის 10 სკოლის 20 პედაგოგი. რაოდენობრივი კვლევა- გამოიკითხა საჩხერის რაიონის 10 სკოლის 200 მოსწავლე. აღნიშნული კვლევის შედეგები მოცემულია წინამდებარე ნაშრომში.

Kapanadze Sophio

Research of the availability of information and communication technologies and their integration into the learning process

Annotation

Master's thesis concerns the availability of information and communication technologies and their integration into the learning process. Nowadays, it is impossible to live without technology. Technologies are engaged in all areas of human activity, and a great deal of time and effort is made by people. Various countries are concentrating more on information and communication technologies in education and communication technologies, as its curriculum is becoming more and more varied, giving students a stimulus. Also, the use of information and communication technologies is one of the most effective ways in the course of the lesson that makes it easy to understand and make new information available for the students, so that, the government has taken a number of steps to develop the accessibility of the ICT and its integration into the education, according to Georgian and foreign researches the process of education is uninteresting and less informative without technologies. So Research of the availability of information and communication technologies and their integration into the learning process is relevant.

Several literature and researches have been investigated in this regard. However, it was found that such large-scale study in Sachkhere region was not conducted, and the surveys carried out in this district are limited to only separate schools. Therefore, my view is innovative.

After studying various literature and research, we developed hypotheses: Teachers use information and communication technologies less often in the teaching process. The low level of teachers in the use of information-communication technologies. Low availability of the ICT for students and teachers.

The aim of the master's thesis is to identify whether it is available for ICT students and teachers and how it is integrated in schools in Sachkhere district.

To achieve this goal, we set the following tasks:

Development of secondary information / review of existing literature on the example of Georgia and foreign countries;

- Determine the issue / problem;
- Development of research methodology;
- research;
- Analysis of information received as a result of research;
- Development of conclusions and recommendations;

The subject of the Master's thesis is accessibility and integration of information and communication technologies in schools in Sachkhere district. While the object is the process of access and integration of information and communication technologies.

Research Methods-Qualitative research, in particular, analysis of documentation, relevant research and literature. Also in-depth interviews. 20 teachers of 10 schools in Sachkhere district were chosen as target respondents. Quantitative research - 200 pupils of 10 schools in Sachkhere district were interviewed. The results of this study are presented in the present work.

სარჩევი

შესავალი.....	7
თავი I - ძირითადი ტერმინების განმარტება.....	10
თავი II-ტექნოლოგიები და მათი მნიშვნელობა განათლებაში.....	12
2.1 ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, როგორც მასწავლებელთა ერთ-ერთი ძირითადი დამხმარე მასალა სწავლების პროცესში.....	14
2.2 ელექტრონული და დისტანციური სწავლება	17
თავი III ევროკავშირის პარლამენტისა და საბჭოს რეკომენდაციები-საკვანძო კომპეტენციები მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისათვის.....	21
თავი IV სახელმწიფოს მიერ გატარებული რეფორმები ინფორმაციულ- საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სკოლებში დანერგვისათვის.....	25
4.1 საქართველოს სკოლებში არსებული მდგომარეობის მიმოხილვა	25
4.2 ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საგნობრივი პროგრამის მიმოხილვა.....	27
თავი V საკანონმდებლო რეგულაციები.....	31
თავი VI ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში გამოყენების მსოფლიო გამოცდილება.....	34
6.1 ესტონეთის განათლებაში ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ჩართვა.....	34
6.2 აზერბაიჯანის განათლების სამინისტროს მიერ ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში ინტეგრაცია.....	37
თავი VII კვლევითი ნაწილი.....	40
დასკვნები:.....	67
რეკომენდაციები.....	69
გამოყენებული ლიტერატურა.....	70
დანართი	

შესავალი

XXI საუკუნე ტექნოლოგიების ერაა. დღევანდელ ცხოვრებაში ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე შეუძლებელია წარმატებას მიაღწიო პირად საქმიანობასა თუ განათლებაში. ტექნოლოგიები გვეხმარება ყოველდღიურ ცხოვრებაში და გვიმარტივებს სხვადასხვა ამოცანების შესრულებას თუ პრობლემათა გადაჭრას. ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინტეგრაციას სასწავლო პროცესში ბევრი დადებითი აქვს. მისი გამოყენება სწავლების დროს საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა მეტად ჩართულობასა და საგაკვეთილო თემისადმი მათ დიდ ინტერესს იწვევს. მათი ჩართვა განათლებაში ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ვუზრუნველყოთ მომავალი თაობის ინოვაციურ ტექნოლოგიებთან ადაპტაცია, რადგან ამის გარეშე მოსწავლეებს გაუჭირდებათ ტექნოლოგიური უნარების გამომუშავება, რაც მათი მომავალი წარმატებისათვის ხელისშემშლელი ფაქტორი გახდება.

სამაგისტრო ნაშრომი ეხება ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობისა და მათ სასწავლო პროცესში ინტეგრაციის კვლევას. დღესდღეობით წარმოუდგენელია ცხოვრება ტექნოლოგიების გარეშე. ტექნოლოგიები ჩართულია ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში და დიდ დროსა და ძალისხმევას უზოგავს ადამიანს. ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ჩართვას განათლებაში დიდ ყურადღებას უთმობენ სხვადასხვა ქვეყნები, რადგან მათი მეშვეობით სასწავლო პროცესი ხდება მეტად მრავალფეროვანი, მოსწავლეთათვის მიმზიდველი, სტიმულის მომცემი. ასევე ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება გაკვეთილის მსვლელობის დროს ერთ-ერთი ეფექტური თვალსაჩინოებაა, რაც ადვილად აღსაქმელს და გასაგებს ხდის მოსწავლეთათვის მიწოდებულ ახალ ინფორმაციას. სახელმწიფო ბევრ ნაბიჯს დგამს, როგორც ისტ-ის ხელმისაწვდომობის გასაზრდელად, ისე მისი განათლებაში ინტეგრაციისათვის. როგორც ქართული, ასევე უცხოენოვანი კვლევების გაცნობის შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღევანდელი განათლების პროცესი ტექნოლოგიების გარეშე ნაკლებად საინტერესო და ინფორმაციულია, ამიტომ ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობისა და განათლებაში ინტეგრაციის კვლევა აქტუალურია.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მოვიძიეთ ბევრი ლიტერატურა და კვლევები, თუმცა აღმოჩნდა, რომ მსგავსი ფართო მასტაბის კვლევა საჩხერის რაიონში არ ჩატარებულა, ამ რაიონში ჩატარებული კვლევები შემოიფარგლება მხოლოდ ცალკეული სკოლებით. აქედან გამომდინარე ჩემი კვლევა წარმოადგენს **სიახლეს**.

სხვადასხვა ლიტერატურისა და კვლევების გაცნობის შემდგომ, შევიმუშავეთ **ჰიპოთეზა**: მასწავლებლები ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს სწავლების პროცესში ნაკლებად იყენებენ. მასწავლებელთა დაბალი მზაობა ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების მხრივ. მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის ისტ-ის დაბალი ხელმისაწვდომობა.

სამაგისტრო ნაშრომის მიზანია, გამოვლენა თუ არის ხელმისაწვდომი ისტ-ი რეგიონის სკოლების მოსწავლეებისა და მასწავლებელთათვის და როგორ არის ინტეგრირებული ისტ-ი საჩხერის რაიონის სკოლებში. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, დავისახეთ შემდეგი **ამოცანები**:

- მეორეული ინფორმაციის დამუშავება/არსებული ლიტერატურის მიმოხილვა საქართველოსა და უცხო ქვეყნის მაგალითზე;
- საკითხის/პრობლემის განსაზღვრა;
- კვლევის მეთოდოლოგიის შემუშავება;
- კვლევა;
- კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზი;
- დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება

სამაგისტრო ნაშრომის კვლევის **საგანია** საჩხერის რაიონის სკოლებში ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა და მათი ინტეგრაცია. ხოლო **ობიექტი** ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობისა და ინტეგრაციის პროცესი.

კვლევის მეთოდები: თვისებრივი კვლევა, კერძოდ, დოკუმენტაციის, შესაბამისი კვლევებისა და ლიტერატურის ანალიზი. ასევე ჩაღრმავებული ინტერვიუ. რესპონდენტებად მიზნობრივად შეირჩა საჩხერის რაიონის 10 სკოლის 20 პედაგოგი.

რაოდენობრივი კვლევა- გამოიკითხა საჩხერის რაიონის 10 სკოლის 200 მოსწავლე.
აღნიშნული კვლევის შედეგები მოცემულია წინამდებარე ნაშრომში.

თავი I - ძირითადი ტერმინების განმარტება

იმისათვის, რომ ნათლად გამოიკვეთოს ჩემი საკვლევი თემა, განვმარტავ ძირითად ტერმინებს.

1. ხელმისაწვდომობა ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ასე განიმარტება: „რაზედაც ხელი მიუწვდებათ, ადვილად მოსაპოვებელი“, „ რაც შეიძლება ადვილად, იაფად იშოვონ“ [ჩიქობავა არნ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი საერთო რედაქცია , 1964 წ]

ინტეგრაცია სიმონ გვარჯალაძის ლექსიკონში შემდეგნაირად განიმარტება: „მთლიანის შედგენა, შეერთება“ [გვარჯალაძე ი. გვარჯალაძე თ. ინგლისურ-ქართული ლექსიკონი. თბილისი „საქართველოს მაცნე“]

„ინფორმაციული ტექნოლოგია-საინფორმაციო ტექნოლოგიები (Information Technologies – IT) – ეს არის ერთმანეთთან დაკავშირებული ტექნოლოგიური და სამეცნიერო, დისციპლინების ერთობლიობა, რომელიც მოიცავს ყველაფერს რაც დაკავშირებულია კომპიუტერულ ტექნოლოგიასთან, მაგ: ინტერნეტს, ტექნიკას, და იმ ადამიანებს, რომლებიც მუშაობენ ამ განხრით.“ [ენციკლოპედიური ლექსიკონი <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=8896>]

„საკომუნიკაციო ტექნოლოგიები- ეყრდნობა ელექტრონიკის მიღწევებს და განეკუთვნება, უზრუნველყოფს და/ან დაკავშირებულია ინფორმაციის გადაცემასთან, ხელმისაწვდომობასთან, მათ შორის ფიქსირებული სატელეფონო კავშირი, მობილური სატელეფონო კავშირი და მობილური მომსახურებები, რადიოსარელო, რადიომოდემური და საერთოდ რადიოკავშირი, სატელევიზიო კომუნიკაციები (ტელეკომუნიკაციები), ინფორმაციის გაცვლის გლობალური და ლოკალური ქსელები, საკაბელო კომუნიკაციები, სატელიტური კავშირი და ა.შ.“ [ენციკლოპედიური ლექსიკონი <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=8896>]

„ელექტრონული საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები-ტექნოლოგიები, რომლებიც ეყრდნობა ელექტრონიკის მიღწევებს და რომლებიც განეკუთვნება,

უზრუნველყოფს და/ან დაკავშირებულია ინფორმაციისა და ცოდნის გამოვლენასთან, მოპოვებასთან, შექმნასთან, ფორმირებასთან, მოგროვებასთან, შენახვასთან, პიებასთან, ნებისმიერი სახის დამუშავება, გადაცემა, გავრცელება და საერთოდ ნებისმიერი სახის მოქმედებასთან, ოპერაციასთან და პროცესთან ინფორმაციასა და ცოდნასთან მიმართებით, მათ შორის ანალიზთან, მოდელირება, პროგნოზირება, მოძიება და გადაწყვეტილებების მიღებასთან.“ [ენციკლოპედიური ლექსიკონი <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=8896>]

თავი II- ტექნოლოგიები და მათი მნიშვნელობა განათლებაში

XXI-ე საუკუნეს ციფრული ტექნოლოგიების ერა უწოდეს. მართლაც, ახალმა ტექნოლოგიებმა ახალი ეპოქა შექმნა. ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა ახალი კავშირები ჩამოაყალიბა, ახალი შესაძლებლობები მისცა კაცობრიობას. სწორედ ამიტომ, დღესდღეობით, ძალიან ბევრი განვითარებული ქვეყანა ცდილობს ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ჩართვას სხვადასხვა სფეროში, იქნება ეს ეკონომიკა, განათლება, თავდაცვა, კულტურა თუ ა.შ. ის ფაქტი, რომ ადამიანს თავის საქმიანობაში ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით დიდი დროის დაზოგვა შეუძლია, კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს ისტ-ის გამოყენებას, რადგან, მოგვეხსენება, თუ როგორი დაჩქარებული კომუნიკაციის ეპოქაში ვცხოვრობთ. “თითქმის ათწლეულია, რაც მთელი მსოფლიო, განსაკუთრებით კი განვითარებული ქვეყნები, ცდილობენ ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვას სხვადასხვა, მათ შორის განათლების სფეროში. ევროპის, აშშ-სა და რამდენიმე სხვა სახელმწიფოს საგანმანათლებლო სისტემა აქტიურად ცდილობს ადრეული ასაკიდანვე ბავშვებისთვის ინფორმაციული ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენების უნარების განვითარების ხელშეწყობას.“[ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება საგანმანათლებლო სივრცეში, სიხარულიძე ლ. 8.04.2017]

დღესდღეობით კომპიუტერული ტექნოლოგიების გარეშე შეუძლებელია ნებისმიერი საქმიანობის წარმართვა, ამიტომ უმნიშვნელოვანესია განათლებაში ჩავრთოთ ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, რადგან უზრუნველყოთ მომავალი თაობის ინოვაციებთან და სამყაროს განვითარებასთან ადაპტაცია და ხელი შევუწყოთ მათ ინტეგრაციას მომავალ ციფრულ სამყაროში. ისტ-ის საშუალებით მოსწავლეს შეუძლია ქონდეს წვდომა უსაზღვრო ინფორმაციაზე და იგი ხდება „საინფორმაციო საზოგადოების“ ნაწილი. (ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება საგანმანათლებლო სივრცეში, სიხარულიძე ლ. 8.04.2017)

დღეს, ტექნოლოგიების საშუალებით, განათლება ხელმისაწვდომია მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხეში მცხოვრები ადამიანისათვის. ეს არის ერთ-ერთი სფერო

რომელიც ძალიან სწრაფად ვითარდება. „ტექნოლოგიურ ეპოქაში“ დაბადებული თაობა, ძალიან სწრაფად ითვისებს კაცობრიობის ტექნოლოგიურ მიღწევებს. მათთვის ბევრად ადვილია ციფრული ტექნოლოგიების ათვისება. სწორედ ამიტომ „2001 წელს მარკ პრენსკიმ შემოიღო ტერმინი „ციფრული აბორიგენი“ იმ ადამიანების დასახასიათებლად, რომლებიც დაიბადნენ და გაიზარდნენ მას შემდეგ, რაც ციფრულმა ტექნოლოგიებმა მყარად მოიკიდა ფეხი ჩვენს ცხოვრებაში. ისინი ტექნიკას აღიქვამენ როგორც ჩვეულებრივსა და აუცილებელს, მათთვის წარმოუდგენელია ცხოვრება ამ ტექნოლოგიების გარეშე” (გონაშვილი 2014. Maswavlebeli.ge) ტექნოლოგიების დამსახურებით, თანამედროვე სამყაროში აღარ არსებობს გეოგრაფიული თუ სოციალური ბარიერები, შექმნილია უამრავი ელექტრონული სასწავლო კურსი და ასევე ელექტრონული უნივერსიტეტები, რომელშიც სწავლება მთლიანად ელექტრონული სახით მიმდინარეობს და ბევრად ხელმისაწვდომია სხვა ქვეყნებში მცხოვრები სტუდენტებისათვის.

„რადგან საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები სწრაფად ვრცელდება სოციალურ და ეკონომიკურ სფეროებზე, აუცილებელია ყველა მოქალაქეს საშუალება ჰქონდეს შეიძინოს საწყისი უნარ-ჩვევები, რათა გახდნენ საინფორმაციო საზოგადოების სრულფასოვანი მონაწილეები. ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვა მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებაში, აგრეთვე აღნიშნული ტექნოლოგიების სფეროში მომუშავე პროფესიონალების რიცხვის გაზრდა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ადამიანური რესურსების განვითარებას საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში და მოსახლეობაში აღნიშნულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ცოდნის გავრცელებას“ [APT Asia-Pacific Summit on the Information Society: 31 Oct- 2 Nov 2000, Tokyo Declaration]

ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას ბევრი დადებითი ასპექტი აქვს:

➤ ხელს უწყობს საგანთაშორისი კავშირების წარმოჩენას. ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია სწავლების პროცესში, განსაკუთრებით დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებთან მუშაობისას, რადგან დაწყებით საფეხურზე საგნები ინტეგრირებულად ისწავლება.

➤ ისტ-ის საშუალებით შესაძლებელია შეიქმნას თვალსაჩინოებები, რომლებიც საჭიროა ახალი თემისა თუ ცნების კარგად აღქმისათვის.

➤ ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება ხელს უწყობს ინოვაციური მიდგომების განვიტარებას და ასევე შემოქმედებითობის უნარის ჩამოყალიბებას მოსწავლეებში, შედეგად მოსწავლე ხდება აქტიური და საკუთარი ნიჭის რეალიზებას ახერხებს, იგი შემოქმედებითად უდგება სასწავლო პროცესს და ჩართულია მასში, რაც შეესაბამება სწავლების კონსტრუქტივისტულ მიდგომას. (საგნობრივი პროგრამა ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში. თავი XLIII)

2.1 ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, როგორც მასწავლებელთა ერთ-ერთი ძირითადი დამხმარე მასალა სწავლების პროცესში

თუ გადავხედავთ განათლების ისტორიას, დავინახავთ, რომ მასწავლებლის როლი უდიდესი იყო სწავლა-განათლებაში. მასწავლებელი წარმოადგენდა ინფორმაციის გადაცემის ერთადერთ წყაროს, ხოლო მოსწავლეები მზა სახით იღებდნენ ამ ინფორმაციას. დღეს ეს მდგომარეობა შეიცვალა. მასწავლებელი დღესდღეობით გვევლინება ფასილიტატორის როლში-იგი მოსწავლეთა დამხმარეა სწავლის პროცესში. მოსწავლეებმა საკუთარი აზროვნების საშუალებით უნდა შეძლონ სწავლების მთავარი ამოცანების შესრულება და მიზნების მიღწევა. მასწავლებელს ამისათვის საკმაოდ დიდი ძალისხმევა სჭირდება, რადგან მან უნდა მოახერხოს მოსწავლეთა დაინტერესება და მათი აქტიური ჩართვა სასწავლო პროცესში.

ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სასწავლო პროცესში უდიდეს შესაძლებლობებს აძლევს პედაგოგს, რომ გაკვეთილი გახადოს მეტად საინტერესო და ადვილი აღსაქმელი. რადგან, მოგვეხსენება, თვალსაჩინოება სწავლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია, იგი უზრუნველყოფს მასალის ვიზუალიზაციას, რაც აადვილებს ტექსტის გაგებას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელო

ვანია დაწყებითი კლასის მოსწავლეებისთვის, რათა მათთვის მარტივი იყოს მასწავლებლის მიერ მიწოდებული ინფორმაციის გააზრება. ისინი ადვილად აღიქვამენ ახალ ინფორმაციას და მასწავლებელი იღებს დადებით შედეგს სწავლებაში. (სასწავლო პროცესში საინფორმაციო ტექნოლოგიების მნიშვნელობისა და გამოყენების ზოგიერთი ასპექტი. ზივზივამე-ნიკოლეიშვილი მანანა)

გაკვეთილის მიმდინარეობის დროს შესაძლოა მოსწავლეები გამოირჩეოდნენ პასიური ჩართულობით. მასწავლებელმა უნდა მოახერხოს მათი საკითხით დაინტერესება და საგაკვეთილო პროცესში მათი აქტიურად ჩართვა. ამის ერთ-ერთი ეფექტური გზა გაკვეთილზე ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებაა. ყველასათვის ცნობილია მოსწავლეთა დამოკიდებულება ტექნოლოგიების მიმართ. კვლევების შედეგად დადგენილია, რომ მოსწავლეები უფრო დიდი ინტერესით ეკიდებიან ტექნოლოგიების გამოყენებით მიწოდებულ მასალას, რადგან მათთვის ადვილი და სახალისოა ამ გზით ახალი მასალის ათვისება. შესაბამისად, მოსწავლეთა დაინტერესებისა და ჩართულობის საკითხშიც ეხმარება ისტ-ი მასწავლებლებს.

ტექნოლოგიები ეხმარება მასწავლებელს მაგრამ, მხოლოდ ტექნოლოგიები არაფერს მოგვცემს თუ ისინი გონივრულად არ იქნა გამოყენებული, მთავარი მაინც სწავლების მეთოდოლოგიაა, ამიტომ, ჩემი აზრით, პედაგოგმა უნდა შეძლოს თავისი პროფესიული გამოცდილებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების შერწყმა, ამ გზით უფრო მეტად ეფექტური გახდება სწავლება. იმისათვის, რომ ტექნოლოგიების გამოყენებას ჰქონდეს დადებითი შედეგი და იყოს ეფექტური აუცილებელია მასწავლებელმა იმოქმედოს წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით, ხოლო დაგეგმვის დროს უნდა გაითვალისწინოს მთელი რიგი ფაქტორები: მოსწავლეთა ინტელექტუალური შესაძლებლობები, მისთვის ხელმისაწვდომი ტექნიკური საშუალებები და მოსწავლეთა შესაძლებლობები ტექნიკის გამოყენებასთან დაკავშირებით. (სასწავლო პროცესში საინფორმაციო ტექნოლოგიების მნიშვნელობისა და გამოყენების ზოგიერთი ასპექტი. ზივზივამე-ნიკოლეიშვილი მანანა)

საქართველოს განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ შეიმუშავა „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ კანონი, სადაც მოცემულია მასწავლებელთა ოთხი საკვალიფიკაციო კატეგორია. ესენია: 1) პრაქტიკოსი მასწავლებელი, 2) წარჩინებული მასწავლებელი 3) მკვლევარი მასწავლებელი 4) მენტორი მასწავლებელი. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ თითოეული კვალიფიკაციის მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს ციფრული ტექნოლოგიები სწავლების დროს. კერძოდ:

IV მუხლის მე-8 თავში წერია, რომ ‘პრაქტიკოსმა მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს სასწავლო პროცესში სკოლაში არსებულ სასწავლო რესურსები, მათ შორის ციფრული რესურსები.’ (მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ)

IV¹ თავის 13¹ მუხლის თანახმად „წარჩინებული მასწავლებელი ახდენს სკოლის სასწავლო რესურსების კლასიფიკაციას. ეძებს და იყენებს სასწავლო მიზნების შესაბამის რესურსებს, რომელთაგან ერთ-ერთი რესურსი, ციფრული რესურსია. ასევე, წარჩინებული მასწავლებელი იყენებს სწავლების ინოვაციურ სტრატეგიებს, რომელსაც მიეკუთვნება ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება საგაკვეთილო პროცესში.“[მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ]

IV² თავის 13 მუხლში წერია, რომ მკვლევარი მასწავლებელი – „ქმნის ციფრულ რესურსებს და ეხმარება მოსწავლეებს საგაკვეთილო მიზნის შესაბამისი პროგრამებისა და ვებრესურსების შერჩევაში, შექმნასა და გამოყენებაში.“[(მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ)]

IV³ თავის 13 მუხლის თანახმად „მენტორი მასწავლებელი- ხელს უწყობს სკოლაში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების დამკვიდრებას.“[მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ]

იმის გათვალისწინებით, რომ ზემოთ ხსენებული სტანდარტის თანახმად თითოეული კვალიფიკაციის მასწავლებელს მოეთხოვება გამოიყენოს ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები სწავლის პროცესში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ

განათლების სამინისტრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ისტ-ის სასწავლო პროცესში ინტეგრაციას. ინტეგრაციის პროცესში კი, ჩვენი აზრით, მასწავლებელია ის მთავარი რგოლი, რომელმაც ეფექტურად უნდა გამოიყენოს ტექნოლოგიები გაკვეთილზე, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში, გაადვილებს ვიზუალიზაციას, გაზრდის გაკვეთილისადმი მოსწავლეთა ინტერესს, რაც საბოლოო ჯამში დადებითი შედეგის მომტანია მოსწავლეთა აკადემიური მოსწრებისათვის.

2.2 ელექტრონული და დისტანციური სწავლება

ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე როდესაც ვსაუბრობთ გვერდს ვერ ავუვლით ელექტრონული სწავლებას, რადგან იგი ისტ-ის გამოყენებით სწავლებას მიეკუთვნება. იგი გულისხმობს ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის გამოყენებით სწავლებას. ელექტრონული სწავლების 3 სახე არსებობს:

1) დისტანციური სწავლება, რომელიც გულისხმობს სასწავლო პროცესის წარმართვას მასწავლებლის უშუალო დასწრების გარეშე.

2) დასწრებული სწავლება მოითხოვს მოსწავლისა და მასწავლებლის ერთსა და იმავე ადგილას ყოფნას სწავლების პროცესში, ხოლო მასალის გადაცემა ხდება ელექტრონულად.

3) ჰიბრიდული სწავლების დროს ძირითადი აქცენტი გაკეთებულია დისტანციურ სწავლებაზე.

ელექტრონული სწავლება მოიცავს სწავლების მეთოდებს, შინაარსს, მიზნებს, საშუალებებს და სხვ. ელექტრონული სწავლების დროს, ჩემი აზრით, მოსწავლე თუ სტუდენტი მეტი ინდივიდუალიზმით და შემოქმედებითობით გამოირჩევა, რადგან დამოუკიდებლად მუშაობს. ასევე გასათვალისწინებელია ელექტრონული სწავლების ისეთი დადებითი მხარე, როგორცაა, მატერიალური საშუალებისა და დროის დაზოგვა. წარმოიდგინეთ, როგორი მოსახერხებელია სახლიდან გაუსვლელად შენთვის სასურველი კურსების გავლა, ისე, რომ არ მოგიწიოთ სპეციალური დროის

შერჩევა, სამსახურში შვებულების აღება ან მშობლიური ქალაქიდან სხვა ქალაქში სასწავლებლად გადასვლა.

ელექტრონული სწავლების კიდევ ერთი დადებითი მხარე ისაა, რომ შემსწავლელი ნაკლებ სტრესს განიცდის სწავლისას, რადგან არ უწევს გამოცდების უშუალოდ ვინმეს მეთვალყურეობის დროს ჩაბარება. ყველა მოსწავლისთვის და სტუდენტისთვის ცნობილია გამოცდებთან დაკავშირებული მღელვარება, რის გამოც შესაძლებელია უმეტესობამ ვერ წარმოაჩინოს საკუთარი ცოდნის მაქსიმუმი. ელექტრონული სწავლება კი ამ უსიამოვნო განცდას თავიდან არიდებს მსწავლელს.

ხშირად ელექტრონულ და დისტანციურ სწავლებას ერთმანეთთან აიგივებენ, რაც დიდი შეცდომაა. დისტანციური სწავლება არის ელექტრონული სწავლების ერთ-ერთი სახე და მისი ელექტრონულ სწავლებასთან გაიგივება აფერხებს მის გავითარებას.

დისტანციური სწავლების საწყის ეტაპად შეგვიძლია მივიჩნიოთ XX საუკუნის მეორე ნახევარი, როდესაც დაუსწრებელი სწავლის ფორმა ფართოდ იყო გავრცელებული, თუმცა დღევანდელი ვითარებისაგან განსხვავებით, ამ დროს დისტანციური სწავლება გამოიყენებოდა გარკვეული ცოდნის შესაძენად და არა უმაღლესი განათლების მისაღებად.

ტექნიკური საშუალებების განვითარებასთან ერთად განვითარდა დისტანცი-ური სწავლებაც. მას ახალი შესაძლებლობები მიეცა რომ ჩამოყალიბებულიყო სწავლების უფრო დიდი მნიშვნელობის მქონე ფორმად. 1969 წელს, დიდ ბრიტანეთში, გაიხსნა პირველი დისტანციური სწავლების უნივერსიტეტი, რომელსაც „დიდი ბრიტანეთის ღია უნივერსიტეტი“ ეწოდება. უნივერსიტეტში სწავლება მხოლოდ დისტანციური მეთოდით მიმდინარეობს. აღნიშნული სასწავლო დაწესებულება რიგით მეხუთეა ქვეყანაში აკადემიური მოსწრების მხრივ. 2008 წლის მონაცემების მიხედვით, უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამების კურსები მილიონზე მეტმა სტუდენტმა გაიარა. უნივერსიტეტს აქვს რეგიონული ოფისები დიდი ბრიტანეთის 13 რეგიონში, ასევე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ყავს პარტნიორები, რომელთა მეშვეობითაც აწარმოებს საგანმანათლებლო პროცესს. (ცერცვაძე მ. 2016 #1 თანამედროვე

ინფორმაციული ტექნოლოგიები განათლებაში. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაცნე)

ელექტრონული სწავლება, დისტანციურის მსგავსად, ჩამოყალიბდა XX საუკუნეში და თავიდან დისტანციური სწავლების ტექნიკურად გაუმჯობესებულ ფორმად მიიჩნევდნენ. შემდეგ, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად განვითარდა ელექტრონული სწავლებაც. ელექტრონული სწავლების განვითარებაში შეგვიძლია რამდენიმე ეტაპი გამოვყოთ:

1. განვითარების პირველ ეტაპზე ელექტრონული სწავლება დისტანციური სწავლების ტექნიკური მხარდაჭერის საშუალებად განიხილებოდა. ამ პერიოდში აქტიურად დაიწყო ისეთი პრეზენტაციების პროგრამული საშუალებების გამოყენება, როგორცაა power point. ასევე აქტიურად დაიწყო ელექტრონული წიგნებისა და სხვადასხვა ტესტირების პროგრამების შექმნა, ამ ეტაპისათვის მთავარ მიღწევად შეიძლება ჩათვალოს სხვადასხვა გარემოში ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსების გამოყენების უზრუნველსაყოფად ტექნოლოგიური სტანდარტის შემოღება.

2. ელექტრონული სწავლების მეორე ეტაპს მიეკუთვნება „კორპორატი-ული სწავლება“. ამ ეტაპზე გაიზარდა სხვადასხვა კომპანიების თანამშრომელთა გადამზადების საჭიროება. სწავლების ტრადიციული მეთოდის გამოყენებით მოითხოვდა დიდ დროს, რადგან უნდა შეწყვეტილიყო სამუშაო პროცესი. ამიტომ კომპანიების თანამშრომელმა გადაწყვიტეს ელექტრონული სწავლების მეშვეობით გადაემზადებინათ თავიანთი თანამშრომლები. ეს საშუალებას აძლევდა კომპანიებში დასაქმებულ ადამიანებს უშალოდ სამუშაო ადგილებზე მიეღოთ ახალი ცოდნა და უნარები. ელექტრონული სწავლების განვითარების ამ ეტაპზე იქმნებოდა არა მხოლოდ უამრავი ელექტრონული მასალა, არამედ მუშავდებოდა ელექტრონული სწავლების ახალი მეთოდოლოგიები და სწავლის მოდულები.

განვითარების მესამე ეტაპზე ხდებოდა პროგრამული სისტემების შემუშავება და ელექტრონული სწავლების ამოცანების კომპლექსური გადაწყვეტა. პროგრამულ სისტემებს მიეკუთვნება ტესტირების სისტემები, სასწავლო მასალების მიწოდების

სისტემები, შედეგების სისტემები, ცოდნის მართვის სისტემები და სხვ. პროცესს. (ცერცვაძე მ. 2016 #1 თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები განათლებაში. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაცნე)

XXI საუკუნის დასაწყისში დაიწყო ელექტრონული სწავლების აქტიურად დანერგვა უნივერსიტეტებში და დღესაც წარმატებით ხორციელდება. შეიძლება იტყვას, რომ ელექტრონული სწავლების ეფექტური მართვა, განათლების ინოვაციური განვითარების ერთ ერთი ნიშნულია.

როგორც ვხედავთ ელექტრონულ სწავლებას ბევრი დადებითი შედეგის მოტანა შეუძლია მოსწავლისათვის, მაგრამ აუცილებელია რომ სიფრთხილე გამოვიჩინოთ მაშინ, როდესაც საქმე ეხება დაწყებითი კლასის მოსწავლეებს. ძალიან ფრთხილად უნდა შევარჩიოთ ის მასალა რასაც კომპიუტერის საშუალებით მივაწოდებთ მოსწავლეებს. უნდა შეირჩეს მოსწავლეებისთვის განკუთვნილი მასალის ფერი, ფორმა, მუსიკის ტემბრი და სხვ. ასევე წინასწარ უნდა განისაზღვროს მოსწავლეთა მიერ გატარებული დროის ხანგრძლივობა კომპიუტერთან. სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს იმაზე, რომ მოზარდებს არ ქონდეთ წვდომა ინტერნეტში ისეთ საიტებზე, რაც მათი ასაკისთვის შეუფერებელია და შესაბამისად მათთვის ზიანის მოტანა შეუძლია.

თავი III ევროკავშირის პარლამენტისა და საბჭოს რეკომენდაციები-საკვანძო კომპეტენციები მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისათვის

სანამ გადავიდოდეთ უშუალოდ დოკუმენტის განხილვაზე საჭიროა განვმარტო რამდენიმე ტერმინის მნიშვნელობა, კერძოდ რას ნიშნავს კომპეტენცია და საკვანძო კომპეტენცია.

კომპეტენცია-ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების კომბინაცია, რომლებიც მიეკუთვნება შესაბამის სიტუაციას.

საკვანძო კომპეტენციები- კომპეტენციები, რომლებიც ხელს უწყობენ პიროვ ნულ სრულყოფას, სოციალურ ჩართულობას, აქტიურ მოქალაქეობას და დასაქმებას.

2001 წელს შეიქმნა საბაზისო უნარ-ჩვევების სამუშაო ჯგუფი, რომელმაც შეიმუშავა საზოგადოებისათვის აუცილებელი კომპეტენციების ჩარჩო, რომელიც ცოდნაზეა დაფუძნებული. აღნიშნულმა ჯგუფმა მოამზადა ასევე რეკომენდაციებიც, რომელიც ემსახურება იმას, რომ ყველა ადამიანის ქონდეს შესაძლებლობა მიიღოს ეს კომპეტენციები. კომპეტენციების ჩარჩოს მიღების მიზეზი იყო, ის რომ 2000 წელს ლისაბონში შეიკრიბა ევროპული საბჭო, სადაც ხაზი გაესვა იმ ფაქტს, რომ ევროპა დიდი გამოწვევების წინაშე დგას, ეს გამოწვევებია გლობალიზაცია და ეკონომიკის ზრდა, რომელიც განათლებაზეა დაფუძნებული. აღინიშნა, რომ ყალიბდება ახალი ინფორმაციული საზოგადოება და ყველა მოქალაქეს უნდა ქონდეს ისეთი უნარ-ჩვევები, რომლის საშუალებითაც შეძლებს გახდეს ახალი საზოგადოების სრულყოფილებიანი წევრი, რაც ნიშნავს იმას, რომ მას უნდა შეეძლოს ახალ საზოგადოებაში ცხოვრება და მუშაობა. საბჭოს წევრების აზრით უნდა განსაზღვრულიყო იმ ძირითად უნარ-ჩვევათა ჩამონათვალი, რომელიც საჭიროა მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლისათვის. მათი აზრით, ასეთ უნარ-ჩვევებს მიეკუთვნება: საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიები, ტექნოლოგიური კულტურა, უცხო ენები, მეწარმეობა. ასევე, განისაზღვრა სოციალური უნარ-ჩვევები და ადამიანი გამოცხადდა

ევროპის ყველაზე დიდ ფასეულობად. იმისათვის, რომ მომხდარიყო ძირითადი უნარ-ჩვევების და მთავარი კომპეტენციების ჩამოყალიბება და მათი განათლებაში ინტეგრაცია ტრადიციულ უნარ-ჩვევებთან ერთად, შემდეგ მათი სწავლა და მთელი ცხოვრების მანძილზე ეფექტურად გამოყენება, 2002 წელს ბარსელონას საბჭოს მიერ მიღებულ პროგრამაში „განათლება და წვრთნა 2010“(ET2010) გაუღერდა მოწოდება, რომ გადადგმულიყო შემდეგი ნაბიჯები ძირითადი უნარ-ჩვევების გასაუმჯობესებლად“ და განათლების ევროპული მიმართულების გასაძლიერებლად. აღნიშნული უნარ-ჩვევები ხელმისაწვდომი უნდა ყოფილიყო ყველა ადამიანისთვის-როგორც სსსმ პირებისათვის, ასევე არასრული განათლების მქონე პირებისათვის. ძირითადი უნარ-ჩვევების მიღების კანონიერ ძალის აღიარებას ხელი უნდა შეეწყო დასაქმებისათვის და ასევე განათლებისადმი მეტი ადამიანის დაინტერესებისათვის. (კომპეტენციები მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისათვის: ევროპარლამენტისა და ევროპული საბჭოს რეკომენდაციები. გულუა თ. ჭოხონელიძე შ.)

სულ შემუშავდა 8 ძირითადი კომპეტენცია. ესენია:

1. მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია-როგორც ზეპირმეტყველებაში, ასევე წერილობით სხვადასხვა თემასთან დაკავშირებით ფიქრების, ფაქტებისა და აზრების გადმოცემა.
2. უცხო ენაზე კომუნიკაცია-წერილობით და ზეპირად სხვადასხვა თე-მასთან დაკავშირებით ფიქრების, ფაქტებისა და აზრების გადმოცემა უცხო ენაზე.
3. მათემატიკური კომპეტენცია და საბაზისო კომპეტენციები მეცნიერებასა და ტექნოლოგიაში- მათემატიკური კომპეტენცია არის მათემატიკური მოქმედებების გამოყენების შესაძლებლობა, მათემატიკური აზროვნების გამოყენების უნარი სხვადასხვა მათემატიკური თუ სხვა საკითხის გადასაჭრელად. მეცნიერული კომპეტენცია გულისხმობს ადამიანის უნარს მეცნიერული ცოდნის საშუალებით შეიმეცნოს და ახსნას ბუნებ-რივი სამყარო. ხოლო ტექნოლოგიური კომპეტენცია გულისხმობს ტექნოლოგიებისა და მათი გამოყენების ცოდნას და მათი საშუალებით სხვადასხვა ამოცანების გადაჭრის შესაძლებლობის უნარს.

4. ციფრული კომპეტენცია-გულისხმობს თანამედროვე ტექნოლოგიების როლის, შესაძლებლობისა და საჭიროების განსაზღვრას და ამ ტექნოლოგიების ეფექტურ გამოყენებას ყოველდღიურ ცხოვრებასა თუ მუშაობის პროცესში.

5. დამოუკიდებლად სწავლის უნარი (Learning To Learn)-მოიცავს ადამიანის მიერ საკუთარი განვითარებისათვის შემეცნების პროცესის თავადვე დაგეგმვის უნარს. ინდივიდმა უნდა შეძლოს საკუთარი საჭიროებისამებრ ორგანიზება გაუწიოს თვითგანათლებას. სწავლის პროცესი მართოს თავად, საკუთარი დროისა და ინფორმაციის ეფექტურად გამოყენების გზით. გამოყოფენ უნარ-ჩვევებს, რომელსაც აუცილებლად უნდა ფლობდეს ინდივიდი იმისათვის, რომ მან შეძლოს დამოუკიდებლად სწავლის უნარის განვითარება: ანგარიში ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება და წერა-კითხვა.

6. პიროვნებათაშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური კომპეტენციები და მოქალაქეობრივი კომპეტენცია- ეს კომპეტენცია მოიცავს ინდივიდის იმ უნარებს, რომელიც მან უნდა გამოიყენოს თანასწორ, სრულუფლებიან, მაღალი ინტერკულტურული მგრძობელობის მქონე საზოგადოებაში ცხოვრების დროს, ხოლო მოქალაქეობრივი კომპეტენცია გულისხმობს სამოქალაქო საზოგადოებაში აქტიური, სრულუფლებიანი და დემოკრატიული თანამონაწილეობის ვალდებულებას.

7. მეწარმეობა გულისხმობს ადამიანის უნარს, რომ საქმედ აქციოს იდეა.

8. კულტურული გამომხატველობა- შემოქმედებითი გამომხატველობის დაფასება. (კომპეტენციები მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისათვის: ევროპარლამენტისა და ევროპული საბჭოს რეკომენდაციები. გულუა თ. ჭოხონელიძე შ.)

აღნიშნული 8 კომპეტენციიდან 2 უშუალოდ მიეკუთვნება ტექნოლოგიების ეფექტურ გამოყენებას. ეს კომპეტენციებია მეცნიერებისა და ტექნოლოგიის კომპეტენცია და ციფრული კომპეტენცია, ხოლო მესამე კომპეტენციის, დამოუკიდებლად სწავლის უნარის განსავითარებლად აუცილებელია ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება. როგორც ვხედავთ, 8 კომპეტენციიდან 3 უშუალოდ ეხება ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას გარკვეული უნარების ჩამოსაყა-ლიბებლად, ხოლო, ჩემი აზრით, დარჩენილი 5 კომპეტენციის

ფარგლებშიც შესაძლებელია ისტ-ის გამოყენება. ეს ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიები დღევანდელი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია და მათი გამოყენების გარეშე თითქმის შეუძლებელია ეფექტური მუშაობა, კომუნიკაციის დამყარება თუ განათლების მიღება.

თავი IV სახელმწიფოს მიერ გატარებული რეფორმები ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სკოლებში დანერგვისათვის

საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსი მიმართულია ევროინტეგრაციისაკენ. ჩვენი ქვეყნის მთავრობა ცდილობს საქართველოში გაატაროს დემოკრატიული რეფორმები, გააუმჯობესოს ეკონომიკა, სოციალური მგომარეობა და გახდეს ევროპული საზოგადოების ღირსეული წევრი. ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გზა განათლებაზე გადის. სწორედ ხარისხიანი განათლებაა ის ძირითადი საშუალება, რისი მეშვეობითაც ქვეყნის წინსვლა და წარმატება გარდაუვალია. განათლების საფუძველი კი სკოლაა, სადაც საბაზისო განათლებას იღებს ქვეყნის მომავალი. იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყნის მოსწავლეები იყვნენ წარმატებულნი და სკოლის დამთავრების შემდეგ შეძლონ და სწავლა გააგრძელონ საქართველოსა თუ მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში, უნდა ვეცადოთ და ფეხი ავუწყოთ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების რიტმს და ერთმანეთს შევუწყოთ ტრადიციული და საერთაშორისო განათლება. დღესდღეობით კი განვითარება ტექნოლოგიების გარეშე წარმოუდგენელია, კერძოდ ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები ძალიან დიდ როლს ასრულებს განათლებაში.

4.1 საქართველოს სკოლებში არსებული მდგომარეობის მიმოხილვა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსგან გამოთხოვილი ოფიციალური მონაცემების მიხედვით, საქართველოს სკოლებში ტექნიკური ბაზები მეტ-ნაკლებად მოწესრიგებულია. თითქმის ყველა სკოლაში არსებობს კომპიუტერული კაბინეტები, რომლებიც აღჭურვილია როგორც ლეპტოპებით ასევე პერსონალური კომპიუტერებით. კომპიუტერული კაბინეტები გათვლილია სკოლის ყველა მოსწავლეზე და ყოველ მათგანს შეუძლია იქ არსებული კომპიუტერების

გამოყენება. სკოლების უმრავლესობას აქვს ინტერნეტზე წვდომა და შეუძლიათ ინფორმაციის მოძიება, დამუშავება და ანალიზი კომპიუტერის და ინტერნეტის საშუალებით. (სიხარულიძე. ლ. ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება საგანმანათლებლო სივრცეში, 8 აპრ 2017)

როგორც ვიცით, თვალსაჩინოება ერთ-ერთი უმთავრესი სწავლების პრინციპია. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ამ პრინციპის გამოყენებით სწავლებას, რადგან მოსწავლეებისთვის ბევრად ადვილია აღიქვან ახალი მასალა თვალსაჩინოების დახმარებით. ასეთ თვალსაჩინოებას მიეკუთვნება პროექტორი. განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსგან მიღებული ინფორმაციის თანახმად, სკოლები აღჭურვილია პროექტორებით, რომლებიც ტექნიკურად გამართულია და მათი გამოყენება საჭიროების მხრივ შესაძლებელია.

სამინისტროს ინფორმაციით საქართველოს სხვადასხვა ქალაქის სკოლებში მოწყობილია „მომავლის კლასები“. აღნიშნული კლასები აღჭურვილია ულტრათანამედროვე ტექნიკით. კლასებში დამონტაჟებულია სმარტდაფები და მონიტორები, რაც საშუალებას აძლევს მასწავლებლებს ჩაატარონ გაკვეთილები ულტრათანამედროვე ტექნიკის გამოყენებით, რაც იწვევს დიდ ინტერესს მოსწავლეებში და მოსწავლეების სრულად ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში. „მომავლის კლასებიდან“ შესაძლებელია მასწავლებლები და მოსწავლეები ონლაინ დაუკავშირდნენ სხვა „მომავლის კლასებს“ და ჩაატარონ ინტეგრირებული გაკვეთილები სხვა სკოლის აღნიშნულ კლასებთან. ასევე პედაგოგს შეუძლია მონიტორის საშუალებით თვალყური ადევნოს თუ როგორ მუშაობენ მოსწავლეები და მისცეს მათ რეკომენდაციები, რჩევები და შენიშვნები. (სიხარულიძე. ლ. ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება საგანმანათლებლო სივრცეში, 8 აპრ 2017)

„მომავლის კლასებში“ შესაძლებელია ჩატარდეს ყველა საგნის გაკვეთილი. გაკვეთილებზე მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შეუძლიათ გამოიყენონ ვირტუალური ლაბორატორიები, ასევე სხვადასხვა საგნისთვის საჭირო სასწავლო ხელსაწყოები. აღნიშნულ კლასებში დამონტაჟებული მაღალი ხარისხის აუდიო და ვიზუალური სისტემა საშუალებას აძლევს მოსწავლეებს , ჩაატარონ პრეზენტაციები. ასევე

მათ შეუძლიათ შეინახონ მათ მიერ მოძიებული ინფორმაცია თუ ჩატარებული გაკვეთილები და შემდგომ გამოიყენონ, სურვილისამებრ. ასეთია „მომავლის კლასის“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ვებ-გვერდზე არსებული აღწერილობა.

სახელმწიფოს მიერ გატარებული რეფორმებს შორის უნდა აღინიშნოს ნეთბუქების დარიგება პირველკლასელთათვის. ყველამ ვიცით პატარების დამოკიდებულება ტექნიკასთან. საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე შემიძლია ვთქვა, რომ არათუ სკოლის, არამედ ბაღის ასაკის ბავშვებისთვისაც კი ადვილია ტექნიკასთან ურთიერთობა და რაც მთავარია სახალისო. პირველკლასელებისთვის ბუკების დარიგება სტიმულის მომცემი იყო. ის ფაქტი, რომ ისინი სკოლაში მოსვლის წუთიდან ერთვებიან საგანმანათლებლო პროცესში, ზოგიერთი მათგანისთვის მეტად არასასიამოვნოა. ხოლო, როდესაც სკოლა მათ სთავაზობს ხალისით სწავლას, რაც დაკავშირებულია ტექნიკის, კერძოდ ნეთბუქის გამოყენებასთან, პირველკლასელთათვის დიდი სიხარულის მომტანია. სწავლის პირველ დღეს, როცა ისინი სახლში ნეთბუქებით ხელდამშვენებულნი მიდიან ერთ რამედ ღირს მათი კმაყოფილი და ბედნიერი სახეების ხილვა, განსაკუთრებით ეს ეხება იმ პატარებს, რომელთა ოჯახებს არ აქვთ საშუალება სახლში ჰქონდეთ ასეთი ტექნიკური საშუალებები. პირველი ნეთბუქები დარიგდა 2010 წელს და ყველა პირველკლასელს უკვე 9 წელია რაც ნეთბუქი გადაეცემა სრულიად უფასოდ. (<http://mes.gov.ge/>)

4.2 ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საგნობრივი პროგრამის მიმოხილვა

იმისათვის, რომ მოსწავლეებს განუვითარდეთ კომპიუტერული უნარები საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ ახალი საგანიც კი შეიტანა ეროვნულ სასწავლო გეგმაში. ეს საგანია: ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, რომლის საგნობრივი პროგრამის შესავალში ნათქვამია, რომ „ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება

სწავლის პროცესში ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ზრდას. გარდა იმისა, რომ ისტ-ის გამოყენებით შესაძლებელია უფრო მდიდარი, მრავალფეროვანი და დინამიური სასწავლო მასალის შექმნა და გამოყენება, მისი საშუალებით შესაძლებელია სასწავლო შინაარსი გავხადოთ ინტერაქტიული. შედეგად, მოსწავლე ინფორმაციის პასიური მიმღები კი არ არის, არამედ მას თავად შეუძლია სასწავლო შინაარსის მოდიფიცირება და შექმნაც კი. ყოველივე ეს კი სრულად შეესაბამება სასწავლო პროცესისადმი თანამედროვე, კონსტრუქტივისტურ მიდგომას, რომელიც ითვალისწინებს ცოდნის მიგნებასა და შექმნას თვით მოსწავლის მიერ“[საგნობრივი პროგრამა ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში]

ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწავლების ძირითადი მიზანია ისეთი პიროვნების აღზრდა, რომელიც იქნება ინფორმირებული ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში, ასევე შეეძლება ეფექტურად გამოიყენოს ტექნოლოგიები საყოფაცხოვრებო საჭიროების მიხედვით და კარიული წინსვლისათვის, რომელიც იქნება კანონმორჩილი და არ დაარღვევს ეთიკის წესებს. ასევე შეეძლება ინფორმაციის დამოუკიდებლად მოპოვება, ანალიზი და საჭიროები სამებრ გამოყენება. (საგნობრივი პროგრამა ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში)

სკოლის დასრულების შემდეგ, მოსწავლეს უნდა ჰქონდეს როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული ცოდნა ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში. უნდა შეეძლოს ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენება სხვადასხვა ამოცანების გადაჭრის დროს.

- „უნდა ფლობდეს ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ ოპერაციებსა და ძირითად ცნებებს

- მოსწავლეს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს ისტ-ით სარგებლობის სოციალური, ეთიკური, გარემოს დაცვასთან და ადამიანურ ფაქტორთან დაკავშირებული პრობლემები (იგულისხმება ინფორმაციისა და პროგრამული უზრუნველყოფის ეთიკისა და არსებული კანონმდებლობის დაცვით გამოყენება). მოსწავლემ უნდა იცოდეს ტექნიკისა და მისთვის ხელმისაწვდომი

ინფორმაციის ეთიკურად და კანონმდებლობის შესაბამისად გამოყენება, რაც ნიშნავს იმას, რომ

- მოსწავლე უნდა ფლობდეს ციფრული პროდუქტების შესაქმნელ საშუალებებს;
- მოსწავლე უნდა ფლობდეს კომუნიკაციის ციფრულ საშუალებებს;
- მოსწავლე უნდა ფლობდეს კვლევის ციფრულ საშუალებებს (იგულისხმება ინფორმაციის სხვადასხვა წყაროებიდან მოძიება, შენახვა, დამუშავება, ანალიზი და ანალიზის საფუძველზე დასკვნების ჩამოყალიბება).

- მოსწავლეს უნდა შეეძლოს ისტ-ის გამოყენება საყოფაცხოვრებო და რეალური ვითარების დროს წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრისას. “[საგნობრივი პროგრამა ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში]

არსებობს ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სწავლების 3 ფორმა. ესენია:

1. ცალკეული საგანი- V-VI კლასებში ისტ-ი ისწავლება როგორც ცალკეული საგანი. სწავლის ამ საფეხურზე მოსწავლეები იღებენ დამწყებისთვის საჭირო ცოდნას. იძენენ შემდეგ უნარებს: ტექნოლოგიებთან მუშაობის, ინტერნეტის გამოყენების, სხვადასხვა საოფისე პროგრამების ბაზისური ცოდნის მიღებას.

2. სწავლების ინტეგრირებული ფორმა- ისტ-ი, ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, ინტეგრირებულია სხვადასხვა საგნებში. ინტეგრირებული ფორმის ფარგლებში მოსწავლეები არ იძენენ ცოდნა უშუალოდ ტექნოლოგიებისა თუ ინტერნეტში სხვადასხვა ოპერაციების შესახებ, არამედ უშუალოდ იყენებენ ინტერნეტს და ტექნოლოგიებს ამა თუ იმ საგანში მაღალი შედეგების მისაღებად.

3. ისტ-ი, როგორც არჩევითი საგანი- სწავლების ეს ფორმა მოიცავს ორ სასწავლო კურსს.

- კომპიუტერული მეცნიერება-ინფორმატიკას და პროგრამირების საბაზისო ცოდნა აძლევს მოსწავლეს

- მულტიმედია და დიზაინი

ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში შეფასება ხდება 3 კომპონენტის მიხედვით. ესენია: საშინაო დავალება, შემაჯამებელი დავალება და საკლასო დავალება. (საგნობრივი პროგრამა ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში)

თავი V საკანონმდებლო რეგულაციები

მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში ჩართვის შესახებ იმ კანონებში, რომლებსაც ეყრნობა განათლების სისტემა,

მაგალითად, საქართველოს „ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებში“ ვკითხულობთ: საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს, რომ აღზარდოს თავისუფალი, პატრიოტი და კოსმოპოლიტი პიროვნება. მოზარდმა საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში მიღებული განათლების საფუძველზე უნდა შეძლოს:

„გ)ტექნოლოგიური თუ სხვა ინტელექტუალური მიღწევების ეფექტიანად გამოყენება; ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და ანალიზი:

დღეს, როდესაც ადამიანისათვის მისაწვდომია დიდი მოცულობისა და სხვადასხვა შინაარსის ინფორმაცია, მისი ეფექტიანად გამოყენების უნარი სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს. მოზარდს უნდა შეეძლოს არა მხოლოდ ინფორმაციის მოპოვება, არამედ მისი შეფასებაც შინაარსის, დანიშნულებისა და ხარისხის მიხედვით, დასახული მიზნებისათვის მისი გამოყენების ფორმების განსაზღვრა; ტექნოლოგიური მიღწევების ეფექტიანი გამოყენება ყოველდღიური ცხოვრების, მუშაობის, ინტელექტუალური თუ სულიერი მოღვაწეობის პირობების გასაუმჯობესებლად“
[ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები]

ჩემი აზრით, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები ერთ -ერთი საუკეთესო, სწრაფი ხელმისაწვდომი და კომფორტული საშუალებაა ინფორმაციის მოსაძიებლად და დასამუშავებლად, რადგან მათი საშალებით „წვდომა გვაქვს ზღვა ინფორმაციაზე და სახლიდან გაუსვლელად შეგვიძლია უამრავი ინფორმაციის მოძიება.

საქართველოს კანონის „ზოგადი განათლების შესახებ“ 28³ მუხლი ეხება „საქართველოში განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას, რომელსაც ქმნის

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო თავის სისტემაში. მისი საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობასა და სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო. სხვა ფუნქციებთან ერთად, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ფუნქციებია:

ა) ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის განვითარება;

ბ) თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა“ [საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ, მუხლი 28³]

EMIS-ის მთავარი მიზანია განთლების სისტემის განვითარება და მხარდაჭერა ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებისა და ელექტრონული მართვის ახალი სისტემების შექმნის გზით. იგი დამოუკიდებელ სტრუქტურად ჩამოყალიბდა 2012 წელს, ხოლო 2012 წლამდე იგი შედიოდა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს შემადგენლობაში. სწორედ მის მიერ ჩატარდა cat-ის გამოყენებით პირველი საატესტატო გამოცდები. ასევე ყველა საჯარო სკოლა აღიჭურვა კომპიუტერული კაბინეტებით და ინტერნეტით.

ეროვნული სასწავლო გეგმა გამოყოფს ცხრა გამჭოლ კომპეტენციას და აქცენტს აკეთებს საგანთა შორის ტრანსფერულ კავშირებზე. აღნიშნულ ცხრა კომპეტენციაში სამი კომპეტენცია ეთმობა: ციფრულ, მედია და რაოდენობრივ წიგნიერებებს (ეროვნული სასწავლო გეგმა 2011), რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს.

ზემოაღნიშნული რეფორმები და გამჭოლი კომპეტენციები ბევრი ახალი მოთხოვნის წინაშე აყენებს მასწავლებელს. მან უნდა დააკმაყოფილოს პროფესიული სტანდარტი და ეროვნული სასწავლო გეგმა, რაც მისგან დიდ ძალისხმევას მოითხოვს. მნიშვნელოვნად გაჭირდა სწავლების ტრადიციული მეთოდების უკან მოტოვება და ახალ, თანამედროვე მეთოდებზე გადასვლა. მიუხედავად იმისა, რომ ბევრმა მასწავლებელმა კარგად იცის, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია კრიტიკული აზროვნების, ჯგუფურად მუშაობისა თუ ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით უნარების განვითარება მოსწავლისთვის, აღნიშნულის განხორციელება

სასწავლო პროცესში ხშირად ვერ ხერხდება. პედაგოგები ხშირად თანამედროვე მეთოდების გამოყენებას ამჯობინებენ ე.წ. „ტრადიციული მეთოდების“ გამოყენებას.

თავი VI ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში გამოყენების მსოფლიო გამოცდილება

6.1 ესტონეთის განათლებაში ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ჩართვა

ესტონეთის განათლების სამინისტრო დიდ ყურადღებას უთმობს ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ჩართვას სასწავლო პროცესში. იგი გარკვეულ ნაბიჯებს დგამს ისტ-ის განათლებაში ინტეგრაციისათვის. ერთ-ერთი ასეთია ინფორმატიკის სწავლება საჯარო სკოლაში, რაც დაეხმარება მოსწავლეებს შეიძინონ საბაზისო უნარები ტექნოლოგიებში და ისწავლონ მათი ეფექტურად გამოყენება. 2014 წლის 29 აგვისტოს ბრძანების თანახმად „ინფორმატიკის სწავლება ესტონეთის უმაღლეს სკოლაში“ ხელს უწყობს მოსწავლეებს განავითარონ კომპიუტერით სწავლისა და კომპიუტერთან მუშაობის უნარები. ინფორმაციის მოძიებისა და ანალიზის უნარი, ასევე, რომ შეადგინონ დოკუმენტები და გააკეთონ პრეზენტაციები.

- შექმნან, გამოიყენონ ისტი განათლებაში რაც შექმნის ეფექტურ და ფუნქციურ სასწავლო გარემოს.
- ვირტუალურად ქონდეთ კავშირი და კომუნიკაცია დაამყარონ მოსახლეობასთან.

ინფორმატიკის, როგორც საგნის სწავლების მთავარი მიზანი არის ის, რომ უმაღლეს სკოლადამთავრებულმა შეძლოს ისტ-ი გამოიყენოს თავის საუშაო და საგანმანათლებლო გარემოში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული საგანი ძირითადად ფოკუსირებულია იმ კომპეტენციებზე, რომელიც საჭიროა სკოლის დონეზე და ნაკლებად აქცევს ყურადღებას იმ მომავალ სამუშაო მოთხოვნილებებს, რაც მოეთხოვებათ სკოლის კურსდამთავრებულებს.

უმაღლესი სკოლის საფეხურზე არსებობს ინფორმატიკის სწავლების შემდეგი პრინციპები:

ღირებულება

1. აქტიური სწავლა და შემოქმედებითობა-უპირატესობას ანიჭებენ იმ სწავლის მეთოდებს, რომლებიც სტიმულს აძლევს სტუდენტსა და მოუწოდებს აქტიურობისა და შემოქმედებითობისაკენ.
2. ინოვაცია- მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესში დაინერგოს ინოვაციური ტექნოლოგიები
3. ერთობლივი სწავლა
4. უსაფრთხოება- სკოლა უზრუნველყოფს ინტერნეტის ქსელის უსაფრთხო გამოყენებას, რის შედეგადაც მოსწავლეს არ აქვს სკოლაში მისთვის საზიანო და შეუფერებელი საიტებზე წვდომა.

ინფორმატიკა შეიძლება ადვილად ინტეგრირდეს ყველა სხვა საგანთან, რადგან ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები არის თანამედროვე საგანმანათლებლო გარემოს ნაწილი. ისტ-ის სასწავლო პროცესში ინეგრაცია ორგვარია:

- 1) ინფორმატიკის სწავლების კურიკულუმი ისეა შედგენილი, რომ იყენებს სხვა საგნების თემებს.
- 2) ყველა სხვა საგანი იყენებს ინფორმატიკას პრეზენტაციებისთვის, ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზისათვის.

ესტონეთში ზოგადი განათლება შედგება 3 საფეხურისაგან:

1. პირველ საფეხურზე ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები არის ჩართული ყველა საგანში და არ ისწავლება ინფორმატიკა ცალკე საგნად.
2. სწავლის მეორე საფეხურზე მოსწავლეები გადიან საგნის სილაბუსის პირველ ნაწილს „კომპიუტერთან მუშაობა“
3. მესამე საფეხურზე სილაბუსის მეორე ნაწილს სახელწოდებით „ინფორმაციული საზოგადოების ტექნოლოგიები“

სკოლებში მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომია სხვადასხვა ტექნოლოგიები. კერძოდ: სკოლებში არსებული კომპიუტერები გათვლილია ყველა მოსწავლეზე, რიგ შემთხვევებში კი ორ მოსწავლეზე ერთი კომპიუტერი. აქვთ პროექტორებით

აღწურვილი კლასები. სკოლებს აქვთ საკუთარი საიტები, სადაც შეუძლიათ მოსწავლეებს დარეგისტრირება და სხვადასხვა ინფორმაციის ელექტრონულად მიღება. ასევე შეუძლიათ საკუთარი ნამუშევრების სკოლის დრაივზე ატვირთვა და შემდეგ საჭიროებისამებრ მათი გამოყენება. აქვთ შესაძლებლობა გამოიყენონ პრინტერი და მეხსიერების ბარათები, ყურსასმენები და მიკროფონები, ციფრული ფოტო და ვიდეო კამერები. მათთვის ხელმისაწვდომია ელექტრონული ინფორმაციულ სისტემები.

2017 წელს ესტონეთში ჩატარდა კვლევა, სახელწოდებით „ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები ესტონეთის სკოლებსა და ბალებში“, კვლევის ავტორები იყვნენ: კენელი ლეპიკი, ჰანა-სტელა ჰაარისტო, ივ მეგი, კერსტი კოივი. კვლევა ჩატარდა ესტონეთის 498 სკოლაში. კვლევაში მონაწილეობას იღებდა 1549 მასწავლებელი და 11224 მოსწავლე. კვლევის თანახმად სკოლების ინტერნეტის ხელმისაწვდომობის მხრივ ეროკავშირში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს ესტონეთს, თუმცა მიუხედავად ამისა უდიდეს გამოწვევად რჩება ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა და მათი ხარისხი. ესტონეთში ბევრი ორგანიზაცია აფინანსებს სკოლების თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვას, ისევე როგორც მასწავლებელთა გადამზადებას, თუმცა ამის მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ სკოლები არ არის აღჭურვილი მოდერნიზებული ტექნიკით, მათ ბაზაზე არსებული ტექნოლოგიები მოძველებულია და მოსწავლეებს და მასწავლებლებს ხელს უშლის ეფექტურად გამოიყენონ ისინი სწავლის პროცესში.

როგორც კვლევის შედეგად დადგინდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა მასწავლებელთა დაბალი მზაობა ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების მხრივ. მასწავლებლები ნაკლებად იყენებ ისტ-ს სასწავლო პროცესში, მათ გარკვეულ ნაწილს ურჩევნიათ ტრადიციული მეთოდებით ასწავლონ მოსწავლეებს. ყველაზე იშვიათად იყენებენ სმარტფონებს სასწავლო მიზნებისათვის. მიუხედავად მასწავლებლებისა და მოსწავლეების დადებითი დამოკიდებულებისა სწავლის პროცესში ტექნოლოგიების გამოყენების მხრივ, მაინც ვერ ხერდება ისტ-ის სრულად ჩართვა განათლებაში, რადგან მასწავლებლებს არ აქვთ საჭირო უნარები, მათი გამოყენებისათვის. კვლევის მიხედვით მასწავლებლები აღიარებენ საკუთარ დაბალ მზაობას და ისინი მონაწილეობას იღებენ ტრენინგებში, რომელიც განკუთვნილია

მათთვის ტექნოლოგიების გამოყენებისათვის საჭირო უნარების განსავითარებლად. დიდია როგორც მასწავლებლების ასევე მოსწავლეების სურვილი განათლებაში ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინტეგრაციისათვის, ეს ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ მათ მნიშვნელოვნად მიაჩნიათ ისტ-ის როლი განათლებაში. (National Curriculum for Basic Schools, The Government of Estonia)

სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ დღეს საქართველოში არ არსებობს ფართო მასშტაბის კვლევა, რომელიც გვაჩვენებს საერთო სურათს, როგორ არის განათლების პროცესში ინტეგრირებული ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და როგორია მათი ხელმისაწვდომობა მოსწავლეებისთვის და მასწავლებლებისთვის სწავლის პროცესში. რაც ძალზე სამწუხაროა, რადგან როგორც ზემოთ ვისაუბრე, სახელმწიფო ბევრ ნაბიჯს დგამს ისტ-ის ხელმისაწვდომობის გაზრდისათვის და სწავლების პროცესში ინტეგრაციისათვის. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში დღეს ყველაფერს ექპერიმენტული ხასიათი აქვს და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები ბევრ სფეროში და მათ შორის განათლებაშიც სპონტანურად არის მიღებული. საჭიროა კვლევა, რომელიც მოიცავს მთელ საქართველოს. რის შედეგადაც გამოვლინდება სახელმწიფოს მიერ გატარებული რეფორმების თუ ჩატარებული ღონისძიებების შედეგები, მათი დადებითი და უარყოფითი შედეგები ან უშედეგობა, რის მიხედვითაც უნდა იხელმძღვანელოს განათლების სამინისტრომ და კვლევის შედეგების საფუძველზე დაგეგმოს ამ მხრივ თავისი საქმიანობა.

6.2 აზერბაიჯანის განათლების სამინისტროს მიერ ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში ინტეგრაცია

აზერბაიჯანის განათლების სამინისტრო ისტ-ის განათლებაში ინტეგრაციისათვის გარკვეულ ნაბიჯებს დგამს. ერთ ერთი ნაბიჯია ინფორმატიკის, როგორც საგნის სწავლება. 2004 წლამდე ინფორმატიკა ისწავლებოდა IX-XI კლასებში. თუმცა 2004-2005 წლებში, სასწავლო გეგმაში შესული ცვლილებების შედეგად დამტკიცდა საგნის სწავლების ახალი პროგრამა და აღნიშნული საგანი ისწავლება I კლასიდან. რაც,

ჩვენი აზრით, ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ ტექნოლოგიური უნარების უკეთ განვითარებას.

2006 წელს აზერბაიჯანის განათლების სამინისტროსა და CISCO(Computer Information System Company- მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი ტექნოლოგიური კომპანია) შეთანხმების საფუძველზე ბაქოსა და სუმგაითის 2018 სკოლა დაუკავშირდა ინტერნეტს. 2002 წლიდან განათლების სამინისტრო პროექტ „ჰარმონიულ ორგანიზაციასთან“ ერთად ნერგავს ინტერნეტ ცენტრებს და კომპიუტერულ ტექნოლოგიებს სკოლებში. ასევე სკოლებში შექმნილია რესურს ცენტრები, რომლებიც მეთვალყურეობს სკოლების ტექნიკით აღჭურვას და მასწავლებელთა გადამზადებას მათი ეფექტურად გამოყენებისათვის საგაკვეთილო პროცესში.

2007 წელს გაფორმდა მემორანდუმი აზერბაიჯანის განათლების სამინისტროსა და microsofts შორის, განათლებაში ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინტეგრაციასთან დაკავშირებით. ამ მემორანდუმის ფარგლებში განხორციელდა 10 მნიშვნელოვანი პროექტი, ისტ-ის დანერგვასთან დაკავშირებით.

განათლების სამინისტრო ეფექტურად იყენებს განვითარებული ქვეყნების ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განათლებაში ინტეგრაციის გამოცდილებას. 2006 წელს განათლების სამინისტროს დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო სემინარში თემაზე „ინოვაციები ციფრულ გარემოში“, რომელიც ჩატარდა ბელფასტში, დიდ ბრიტანეთში.

კომპანია ინტელი წლებია ახორციელებს პროგრამებს განათლებაში ისტ-ის ეფექტურად გამოყენებისთვის. „განათლება მომავლისათვის“ არის ერთ-ერთი პროგრამა იმ შვიდი ინოვაციური პროგრამიდან, რომელიც განახორციელა ინტელმა მსოფლიოში. პროგრამის მიზანია, რომ გააუმჯობესოს მასწავლებელთა პროფესიული უნარები სპეციალურ ტექნიკურ სკოლებში და პედაგოგიურ უნივერსიტეტებში. პროგრამა წარმატებით განხორციელდა მსოფლიოს 37 ქვეყანაში. აზერბაიჯანი არის მესამე რუსეთსა უკრაინის შემდეგ, რომელიც ჩაერთო ამ პროგრამაში.

მას შემდეგ, რაც აზერბაიჯანმა ჩამოაყალიბა საკუთარი საკანონმდებლო ბაზა, უფრო აქტიურად დაიწყო ისტ-ის ინტეგრაცია სასწავლო პროცესში. მიღებული იქნა საკანონმდებლო აქტები:

- ეროვნული ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სტრატეგია აზერბაიჯანის განათლების განვითარებისთვის.
- კანონი აზერბაიჯანის ციფრული ელექტრონიკის შესახებ
- კანონი აზერბაიჯანის ტელეკომუნიკაციის შესახებ
- ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინტეგრაცია აზერბაიჯანის განათლების სისტემაში.

აზერბაიჯანის განათლების სამინისტრო ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ წინსვლასა და განვითარებას ისტ-ის გამოყენების მხრივ. თავიანთი ტექნოლოგიური ცოდნის ასამაღლებლად მასწავლებლები მონაწილეობენ ტრენინგებში, რომელიც ორგანიზებულია ბაქოს მეცნიერებისა და სასწავლო ცენტრის მიერ. ისინი აბარებენ გამოცდას ECDL(European Computer Driving Licence)-კომპიუტერის მართვის ევროპული სერთიფიკატი, რომელიც არის ცოდნის შეფასების ერთიანი ევროპული ხარისხი, აღიარებული სტანდარტი ევროპასა და აშშ-ში. იგი ადასტურებს, რომ მისი მფლობელი იცნობს საინფორმაციო ტექნოლოგიების ძირითად პრინციპებს, შეუძლია პერსონალურ კომპიუტერზე მუშაობა და სხვადასხვა პროგრამების გამოყენება). გამოცდის ჩაბარების შემდეგ იღებენ საერთაშორისო სერთიფიკატს. ასევე მასწავლებლები აქტიურად არიან ჩართული ტრენინგ კურსებში, რომლებიც ორგანიზებულია კომპანია ინტელის მიერ. (<https://edu.gov.az/en/page/28>)


თავი VII კვლევითი ნაწილი

კვლევითი კომპონენტის ფარგლებში ჩავატარეთ რაოდენობრივი კვლევა, რისი მეშვეობითაც გამოვკითხეთ საჩხერის რაიონის 10 სკოლის 200 მოსწავლე, ხოლო ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდით გამოიკითხა ამავე რაიონის მოცემული სკოლების 20 მასწავლებელი. რაოდენობრივი კვლევის განსახორციელებლად შეირჩა კვლევის ინსტრუმენტი, ნახევრდასტრუქტურირებული გუგლის კითხვარი და ასევე ჩაღრმავებული ინტერვიუ. კვლევის პროცესში გამოვიყენეთ მიზნობრივი, არაალბათური შერჩევა. მოსწავლეები გამოვკითხე სოციალური ქსელის მეშვეობით, ხოლო მასწავლებლები პირადი გასაუბრების საშუალებით, ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდით.

კვლევის შედეგებს წარმოვადგენ 2 ნაწილად. პირველ ნაწილში წარმოგიდგენთ რაოდენობრივი კვლევის შედეგებს, მეორე ნაწილში კი თვისებრივი კვლევის შედეგებს. ბოლოს შეჯამების სახით წარმოგიდგენთ საბოლოო შედეგებს.


- **რაოდენობრივი კვლევის შედეგები:**

1. გამოკითხულ მოსწავლეებს შორის 70 % იყო მდედრობითი სქესის, ხოლო 30 % მამრობითი სქესის. მოდას წარმოადგენდა პასუხი-მდედრობითი



დიაგრამა №1

2. შემდეგ კითხვაზე, „რომელ კლასში სწავლობთ“ ? პასუხი გასცა 200-მა მოსწავლემ. შედეგები შემდეგნაირად გამოიყურება:



დიაგრამა № 2

3. კითხვაზე, „არის თქვენს სკოლაში კომპიუტერული კაბინეტი? პასუხი გასცა 200-მა მოსწავლემ. ეს იყო ერთადერთი კითხვა, სადაც გამოკითხულთა სრულმა უმრავლესობამ დააფიქსირა დადებითი პასუხი. შესაბამისად შეგვიძლია ვთქვათ რომ ყველა სკოლა აღჭურვილია კომპიუტერული კაბინეტით.

4. მომდევნო კითხვაზე, „გთხოვთ მიუთითეთ, რა მიზნით იყენებთ კომპიუტერულ კაბინეტს?“ პასუხი დააფიქსირა 189 მოსწავლემ. მოსწავლეთა პასუხების მიხედვით ისინი კომპიუტერულ კაბინეტს ძირითადად იყენებენ დამატებითი ინფორმაციის მოსაძიებლად და საგანმანათლებლო მიზნებისათვის:

„სასწავლო პროგრამაში შესული მასალის შესახებ მეტი ინფორმაციის მოსაპოვებლად“

„სხვადასხვა საიტებზე ვაკეთებთ ვაკეთილის თემასთან დაკავშირებულ სავარჯიშოებს.“

„კომპიუტერულ კაბინეტში ძირითადად ვაკეთებთ პრეზენტაციებს.“

„მასწავლებლისგან დავალებული დამატებითი ინფორმაციის მოსაძიებლად და დასამუშავებლად, თუმცა ეს არც ისე ხშირად ხდება“

„სლაიდშოუების ვაკეთებისათვის ვიყენებთ“

„კომპიუტერული კაბინეტს ვიყენებთ ინფორმაციის მოსაძიებლად, რადგან ინტერნეტში საკმაოდ მრავალფეროვანი მასალაა და თან ბევრ დროს გვიზოგავს მისი გამოყენებით ინფორმაციის მოპოვება“

თუმცა, როგორც აღმოჩნდა, მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი მხოლოდ სასწავლო მიზნებისათვის არ იყენებს კომპიუტერულ კაბინეტს:

„კომპიუტერულ კაბინეტში არა მხოლოდ ინფორმაციის მოსაძიებლად, არამედ გასართობადაც შევდივართ.“

„კომპიუტერულ კაბინეტს ვიყენებთ სასწავლო მიზნებისთვის, თუმცა ასევე სხვადასხვა საიტებზეც გვაქვს წვდომა, შესაბამისად რთულია „ხელი არ წაგვცდეს“ ფეისბუქისკენ ან იუთუბისკენ ...“

„კომპიუტერული კაბინეტი ერთ ერთი ყველაზე საყვარელია ჩემთვის სკოლაში არსებულ კაბინეტებს შორის, რადგან აქაა შესაძლებელი მოიძიო ინფორმაცია,

მოუსმინო საყვარელ მუსიკას და დაამყარო კომუნიკაციო მეგობრებთან ინტერნეტის საშუალებით. „

მოსწავლეთა გარკვეული ნაწილის აზრით , კი ისინი კომპიუტერულ კაბინეტს ვერ იყენებენ, მთელი რიგი პრობლემების გამო:

„ კომპიუტერულ კაბინეტის გამოყენება ძალიან გვინდა და გვესაჭიროება, თუმცა ვერ ვიყენებთ, რადგან არ არის ტექნიკურად გამართული იქ არსებული კომპიუტერები.“

„კომპიუტერულ კაბინეტში კომპიუტერები მწყობრიდანაა გამოსული, ვერ ვახერხებთ მათ საჭიროებისამებრ გამოყენებას.“

„ბევრჯერ შევსულვართ მაგრამ ინტერნეტი არ ყოფილა და ვერ შეგვისრულებია დავალება“

„კომპიუტერულ კაბინეტში ხშირად ითიშება კომპიუტერები, რის გამოც ვერ შევდივართ, აზრი არ აქვს „

„იქ ძალიან ნელი ინტერნეტია, ერთი საათი მხოლოდ საიტზე შესვლას სჭირდება, ამიტომ გვირჩევნია სახლში გავაკეთოთ ჩვენი საქმე“

„კომპიუტერები ძალიან ძველია, აქვს ბევრი პრობლემა და ხელს გვიშლის მუშაობაში“


„კომპიუტერულ კაბინეტს ინფორმაციის მოსაძიებლად ვიყენებთ ძირითადად, თუმცა ბევრი პრობლემაა, ნელი ინტერნეტი, მოძველებული ტექნიკა და ასევე ამას თან ერთვის არასაკმარისი რაოდენობა ამ ტექნიკის.“

„კომპიუტერულ კაბინეტის ბევრი მიზნით გამოყენება შეუძლებელია, თუმცა, არის ერთი მთავარი პრობლემა. კომპიუტერების არასაკმარისი რაოდენობა, რის გამოც ხელი გვეშლება ინფორმაციის მოძიებასა თუ პრეზენტაციების გაკეთებაში.“

მოსწავლეთა პასუხების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ , რომ ისინი კომპიუტერებს იყენებს ძირითადად ინფორმაციის მოძიებისათვის, პრეზენტაციების გასაკეთებლად, გასართობად, კომუნიკაციის დასამყარებლად, თუმცა ასევე მათი

პასუხები კვეთს იმ პრობლემებს, რომლებიც ხელს უშლის მათ კომპიუტერული კაბინეტის გამოყენებაში. ესენია მოძველებული ტექნიკა, არასაკმარისი კომპიუტერები და ნელი სიჩქარის ინტერნეტი. რაც ვფიქრობ მთავარი პრობლემაა იმისა რომ მოსწავლეები ვერ ახერხებენ ეფექტურ მუშაობას სკოლაში.

5. შემდეგ კითხვაზე, „რა სიხშირით იყენებთ კომპიუტერულ კაბინეტს საგანმანათლებლო მიზნებისათვის?“ პასუხი გასცა 200-მა მოსწავლემ. მათ მიერ გაცემული პასუხები შემდგენიარად განაწილდა:




დიაგრამა №3

როგორც მოსწავლეთა პასუხებიდან ჩანს, მოსწავლეთა უმრავლესობა (60%) საკმაოდ იშვიათად (თვეში რამდენჯერმე) იყენებს კომპიუტერულ კაბინეტს საგანმანათლებლო მიზნებისთვის. ამის მიზეზად შეგვიძლია დავასახელოთ ის მიზეზები, რაც წინა კითხვის პასუხებში დააფიქსირეს მოსწავლეებმა: ძველი ტექნიკა, ნელი სიჩქარის ინტერნეტი და კომპიუტერების არასაკმარისი რაოდენობა.

6. თქვენს კომპიუტერულ კაბინეტში არსებული კომპიუტერები.


პასუხი დააფიქსირა 200მა მოსწავლემ. პასუხების განაწილება შემდეგია:



დიაგრამა №4

7. გაქვთ ინტერნეტზე წვდომა სკოლაში?

პასუხი გასცა 200მა მოსწავლემ. მოსწავლეთა პასუხები შემდეგნაირად განაწილდა:




დიაგრამა №5

8. არის თქვენი სასკოლო კლასები აღჭურვილი პროექტორით?


პასუხი გასცა 190-მა მოსწავლემ, მათგან პასუხი „დიახ“ დააფიქსირა გამოკითხული მოსწავლეთა 30%-მა, ხოლო პასუხი- „არა“ დააფიქსირა 70%-მა. პასუხების მიხედვით ვიგებთ, რომ სკოლების უმეტესობა არ არის აღჭურვილი პროექტორებით, შესაბამისად რთულია პრეზენტაციების გაკეთება power point-ის საშუალებით, ასევე მასწავლებლებს არ ექნებათ საშუალება გაკვეთილის პროცესში

გამოიყენონ პროექტორი, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური თვალსაჩინოება სხვადასხვა მასალის ვიზუალიზაციისათვის.



დიაგრამა №6

9. შემდეგი კითხვა-„იყენებს მასწავლებელი პროექტორს გაკვეთილის მსვლელობის დროს საჭიროებისამებრ ?“ იყო ფილტრიანი შეკითხვა. ამ კითხვაზე შესაბამისად პასუხი გასცა 57-მა მოსწავლემ. მათ ვინც წინა კითხვაში დააფიქსირა დადებითი პასუხი. მოსწავლეთა პასუხები შემდეგნაირად განაწილდა:



დიაგრამა №7

რაც გვაჩვენებს იმას, რომ მასწავლებელთა უმრავლესობა (60%) არ იყენებს გაკვეთილის მსვლელობის დროს პროექტორს, რომელიც ერთ-ერთი ეფექტური თვალსაჩინოება დაა რომლის საშუალებითაც მასწავლებელს შეუძლია საგაკვეთილო პროცესი გახადოს უფრო საინტერესო და მოდერნისტული.

10. თქვენი აზრით, რა გავლენას ახდენს პროექტორის გამოყენება გაკვეთილის მსვლელობაზე? მოცემულ კითხვას პასუხი გასცა 130-მა მოსწავლემ. უმრავლესობის აზრით პროექტორი გაკვეთილს უფრო საინტერესოს ხდის და ის ერთ-ერთი საუკეთესო თვალსაჩინოებას წარმოადგენს.

„კარგ გავლენას ახდენს, რადგან თვალსაჩინოების გამოყენებით საგაკვეთილო მასალას უკეთ აღვიქვამთ“

„ვეფიქრობ ძალიან კარგი საშუალებაა თვალსაჩინოებისთვის, იგი გვეხმარება რეალურად და მარტივად აღვიქვათ და ავითვისოთ საგაკვეთილო მასალა.“

„მეტ ინფორმაციას ვიღებთ მოცემულ თემაზე“

„უფრო მრავალფეროვანს და საინტერესოს ხდის გაკვეთილს“


„გვეხმარება სიახლეების ათვისებაში“

„პროექტორის გამოყენება, ჩემი აზრით, დადებითად მოქმედებს საგაკვეთილო პროცესზე, რადგან ჩემი დაკვირვებით, როცა მასწავლებელი პროექტორს იყენებს გაკვეთილზე ისეთი მოსწავლეებიც კი ყურადღებით უსმენენ მასწავლებელს და ერთვებიან გაკვეთილის მიმდინარეობაში, რომლებიც სხვა დროს არასოდეს ინტერესდებიან გაკვეთილით. აქედან გამომდინარე, შემიძლია ვთქვა, რომ პროექტორის გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეთა მეტად დაინტერესებას გაკვეთილის მასალით “

როგორც მოსწავლეთა პასუხებიდან სჩანს მათი დამოკიდებულება საგაკვეთილო პროცესში პროექტორის გამოყენებასთან დაკავშირებით დადებითია და ისინი მიესალმებიან მის გამოყენებას სასწავლო პროცესში.

11. „თქვენი აზრით, უნდა იყოს სასკოლო კლასები აღჭურვილი პროექტორებით?“

მოცემულ კითხვას პასუხი გასცა 200-მა მოსწავლემ. მოსწავლეთა 94%-ის აზრით აუცილებელია კლასებში პროექტორების არსებობა, ხოლო 6% თვლის რომ კლასები არ უნდა იყოს აღჭურვილი პროექტორებით.




დიაგრამა №8

12. „გთხოვთ ჩამოთვალეთ, რომელ ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგი-ებს იყენებთ სახლში.“

13. „გთხოვთ ჩამოთვალეთ, რომელ ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგი-ებს იყენებთ სკოლაში“

ამ კითხვებზე მოსწავლეთა უმრავლესობას ერთნაირი პასუხები ჰქონდა, როგორც სახლში, ისევე სკოლაში ისინი ერთსა და იმავე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს იყენებენ. ესენია: კომპიუტერი, ტელეფონი, პროექტორი, პლანშეტი.

14. კითხვაზე „რომელი ინფორმაციის მოძიების წყაროს ანიჭებთ უპირატესობას?“ პასუხი გასცა 200-მა მოსწავლემ. მოსწავლეთა 68% უპირატესობას ანიჭებს წიგნს, ხოლო 32% კომპიუტერს.



დიაგრამა №9

ნახევარზე მეტი გამოკითხული მოსწავლეებისა უპირატესობას ანიჭებს წიგნს, რაც იმას ნიშნავს, რომ მათთვის ღირებულია სწავლების ტრადიციული მიდგომები და კომპიუტერს წიგნი არ ჩაუნაცვლებია.


15. „გთხოვთ მიუთითეთ, თქვენი აზრით, ყველაზე მეტად რომელი საგანი საჭიროებს ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით სწავლებას?“ ამ კითხვაზე პასუხი დააფიქსირა 180-მა მოსწავლემ. მათ მიერ ჩამოთვლილ საგნების სიას მიეკუთვნება ყველა ის საგანი რომელსაც სწავლობენ სკოლაში. ხოლო მოსწავლეთა გარკვეული რაოდენობა თვლის, რომ:

„ჩემი აზრით, ყველა საგანში შეიძლება ისტ-ის გამოყენება, რადგან იგი ძალიან მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესში“

„ისტ-ი შეიძლება ყველა საგანში გამოიყენოს, რადგან იგი საკმაოდ კარგ თვალსაჩინოებას წარმოადგენს“

„ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას ყველა საგანი საჭიროებს, რადგან ტექნოლოგიების საშუალებით შეგვიძლია მეტი საინტერესო ინფორმაციის მოძიება“


16. „თუ იყენებს ამ კონკრეტული საგნის მასწავლებელი ისტ-ს სწავლების პროცესში?“ ამ კითხვაზე პასუხი გასცა 170-მა მოსწავლემ. პასუხები შემდეგნაირად განაწილდა:



დიაგრამა №10

როგორც პასუხებიდან სჩანს მოსწავლეთა უმეტესობა (56%) აღნიშნავს, რომ მასწავლებლები არ იყენებენ ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს სწავლების პროცესში, რაც ნიშნავს იმას, რომ მასწავლებელთა ნახევარზე მეტი უარს ამბობს ისტ-ის საგაკვეთილო პროცესში ჩართვაზე.

17. „რა სიხშირით იყენებს ისტ-ს სასწავლო პროცესში?“ ეს კითხვა წარმოადგენდა ფილტრიან კითხვას. მოცემულ კითხვაზე პასუხი გასცა მოსწავლეების იმ ნაწილმა, რომელმაც წინა შეკითხვაზე დააფიქსირა დადებითი პასუხი



დიაგრამა №11

18. კითხვაზე „დაასახელეთ ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების დადებითი მხარეები“ პასუხი დააფიქსირა 140-მა მოსწავლემ:

„ისტ-ი ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, მისი საშუალებით ბევრ დავალებას ვასრულებთ და ვიყენებთ როგორც სწავლაში, ასევე ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში“

„ისტ-ის დადებითი მხარე ისაა, რომ მისი საშუალებით შეგვიძლია უფრო წრაფად მოვიძიოთ საჭირო ინფორმაცია“

„დადებითი მხარე აქვს ის, რომ ტექნოლოგიების გამოყენებით შეგვიძლია გაცილებით მარტივად და მცირე დროში მოვიძიოთ საჭირო ინფორმაცია“

„ისტ-ის ბევრად მრავალფეროვანი ინფორმაციების მოპოვება შეგვიძლია ვიდრე სასკოლო წიგნებით“

„ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას ბევრი დადებითი მხარე აქვს, კერძოდ მისი საშუალებით ვეცნობით ტექნოლოგიებს და ჩვენს უნარებს ვავითარებთ ტექნოლოგიების გამოყენების მხრივ“

„ბევრი დადებითი აქვს, მაგალითად ტექნოლოგიების საშუალებით უფრო საინტერესო და სახალისო ხდება გაკვეთილები. ტექნოლოგიების საშუალებით ვაკეთებთ პრეზენტაციებს, პროექტებს, ვგეგმავთ გაკვეთილებს და ვეცნობით ახალ ინფორმაციას.“

როგორც მოსწავლეთა პასუხებიდან სჩანს ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას საკმაოდ ბევრი დადებითი მხარე აქვს. მოსწავლეთა უმრავლესობის პასუხებიდან გამომდინარე შეგვიძლია გამოვყოთ ისტ-ის შემდეგი დადებითი მხარეები: ინფორმაციის სწრაფი მოძიება, საინტერესო სასწავლო პროცესი, სახალისო გაკვეთილები, რაც მათ ინტერესს ზრდის გაკვეთილებისადმი...

19. „დაასახელეთ ისტ-ის გამოყენების უარყოფითი მხარეები“ - მოცემულ კითხვაზე პასუხი გასცა 80-მა მოსწავლემ. მათი აზრით:

„უარყოფითი მხარე აქვს ის, რომ დიდი დროით ტექნოლოგიების გამოყენება იწვევს მასზე დამოკიდებულებას, ეს განსაკუთრებით ეხებათ მობილურ ტელეფონებს...“

„კომპიუტერის საშუალებით ინფორმაცია ხშირად არასწორია რადგან არ არსებობს რაიმე ბარიერი ბლოგერებისათვის“

„ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების უარყოფითი მხარეებია: ამ კონკრეტული ტექნოლოგიების არასასწავლო მიზნით გამოყენება, მათზე დამოკიდებულება და უშუალო კომუნიკაბელურობის დასუსტება“

„დიდხანს მათი გამოყენება საზიანოა მხედველობისთვის“

„ვიღებთ მზა ინფორმაციას და გვიშლის ხელს აზროვნებაში.“

„ჯანმრთელობისთვის საზიანოა და გარდა ამისა როცა ბავშვი ძალიანაა მიჯაჭვული კომპიუტერზე ის ხდება საკუთარ თვში ჩაკეტილი და მასზე შესაძლებელია განხორციელდეს კიბერ ბულინგი რაც შესაძლებელია ფატალური შედეგითაც დასრულდეს“

„ხშირმა გამოყენებამ შესაძლოა მოსწავლის მიჯაჭვულობა გამოიწვოს ტექნოლოგიებთან და კიდევ ისინი აზიანებენ ბავშვის ტვინს და ნერვულ სისტემას“

„ისტ-ის ხშირად გამოყენება, შეაფერხებს წიგნის გამოყენებას“

მოსწავლეთა პასუხების მიხედვით, ისტ-ს გააჩნია უარყოფითი მხარეებიც. ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებამ, მათი აზრით შესაძლებელია საფრთხე შეუქმნას როგორც მათი ცოდნის მაღალ ხარისხს („ინტერნეტში ბევრი მცდარი ინფორმაციაა, არ ხდება ამ ინფორმაციის კონტროლი და შესაბამისად მას შემდეგ რაც ვეცნობით მას მცდარ ინფორმაციას ვიმახსოვრებთ და გვაქვს მცდარი შეხედულება და წარმოდგენა ამა თუ იმ საკითხის მიმართ“), ასევე მოსწავლეთა ჯანმრთელობას („ტექნოლოგიების ხანგრძლივი გამოყენება იწვევს მიჩვევას, რის შედეგადაც ადამიანი ხდება ჩაკეტილი და აღარ ურთიერთობს საზოგადოების წევრებთან, დიდხანს კომპიუტერის გამოყენება ასევე საზიანოა მხედველობისთვის“). უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლეები აცნობიერებენ ტექნოლოგიების უარყოფით მხარეებსაც, რამაც მათ შეიძლება ზიანი მოუტანოს, ეს კარგია, რადგან ისინი შეეცდებიან თავი აარიდონ ტექნოლოგიების იმგვარ გამოყენებას, რაც მათ ჯანმრთელობას ან განათლებას შეუქმნის საფრთხეს.

20. „როგორია თქვენი დამოკიდებულება განათლებაში ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებით და რატომ ფიქრობთ

ასე?“ აღნიშნული კითხვა წარმოადგენდა ინტერნეტ-კითხვარის ბოლო შეკითხვას. კითხვაზე პასუხი გასცა 113-მა მოსწავლემ. მათი პასუხები არაერთგვაროვანი იყო. მოსწავლეთა უმრავლესობას დადებითი დამოკიდებულება აქვს განათლებაში ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების თვალსაზრისით:

„ჩვენ, მოსწავლეებს, ისტი გვეხმარება ჩვენთვის სასურველი ინფორმაციის მოძიებაში. ამიტომაც, ჩემი აზრით, ისტის მიზანშეწონილად გამოყენება ხელს შეგვიწყობს იმ უნარების განვითარებაში, რომლის საშუალებითაც შევძლებთ ახალი მასალის უკეთ აღქმას.“

„დღეს ისტ-ი ძალზე აუცილებელია. მისი დახმარებით ახალგაზრდები არიან უფრო პერსპექტიულები და არ უჭირთ თავიანთი გეგმების განხორციელება“

„დღეს უკვე თითქმის შეუძლებელია განათლების სისტემის განვითარება ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე. ამ ფაქტს, რა თქმა უნდა დადებითთან ერთად აქვს უარყოფითი მხარეებიც, თუმცა საჭიროა ამ ყველაფრის სწორი რეალიზება და განათლების სისტემაში ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწორად ინტეგრაცია, რომ არ მოხდეს ტექნიკით წიგნის ჩანაცვლება.“

„ჩემი აზრი უნდა გამოიყენებოდეს რადგან ბევრად უფრო მოსახერხებელია ვიდრე, საჭირო ინფორმაციისათვის ბიბლიოთეკაში სიარული“

„რომ არა ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, სწავლის პროცესი ცოტა არ იყოს გაგვირთულდებოდა ეს კი გვიმარტივებს სწავლას“

„დადებითი დამოკიდებულება მაქვს, რადგან გვეხმარება ინფორმაციის სწრაფად მოძიებაში და ამით ჩვენ დროს ვიგებთ“

„ჩემი აზრით ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება ძალიან კარგია რადგან მენ შეგიძლია ინტერნეტის საშუალებით გაეცნო იმ ინფორმაციას, რაც წიგნში შეიძლება არ იყოს“

„დადებითი დამოკიდებულება მაქვს, რადგან ტექნოლოგიების საშუალებით უფრო სახალისო და მრავალფეროვანი ხდება სწავლის პროცესი“

ზოგიერთმა მოსწავლემ თავისი საკუთარი გამოცდილება გაგვიზიარა: „დადებითი დამოკიდებულება მაქვს, რადგან მე კარგად ვფლობ ტექნოლოგიებს, ვიცი

კომპიუტერისა და სხვადასხვა პროგრამების გამოყენება. ასევე ვიცი თუ როგორ გავაკეთო ეფექტური პრეზენტაცია power point-ის საშუალებით, რაც მეხმარება სწავლაში“

„მე დადებითი დამოკიდებულება მაქვს ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ჩართვის მიმართ სასწავლო პროცესში. ტექნოლოგიების საშუალებით ვიძიებ ძალიან ბევრ ინფორმაციას და გაკვეთილზე ყოველთვის ვაოცებ მასწავლებელს. ასევე ძალიან მიყვარს კითხვა, მიყვარს მხატვრული ლიტერატურა. ინტერნეტში არსებობს უფასო ელექტრონული წიგნები, რომელიც ძალიან მოსახერხებელია ჩემთვის, რადგან არ მაქვს შესაძლებლობა შევიძინო ყველა წიგნი რომელიც მომწონს.“

თუმცა არსებობენ ისეთი მოსწავლეებიც, რომლებსაც ტექნოლოგიების სასწავლო პროცესში ინტეგრაციასთან არაფერი აქვთ საწინააღმდეგო, მაგრამ მაინც წიგნს ამჯობინებენ ტექნოლოგიებს და არ ენდობიან იქ არსებულ ინფორმაციას:

„პირადად მე კარგი დამოკიდებულება მაქვს, ვინაიდან ხშირად მისარგებელია ამით და შესაბამისი შედეგიც მიმიღია, თუმცა მაინც ვამჯობინებ, რომ გარკვეული ინფორმაცია წიგნებიდან (მაგ: ენციკლოპედიებიდან) მივიღო, მეტი სანდოობის-თვის.“

„ჩემი აზრით კარგია თუმცა ბავშვებს უნდა ჰქონდეთ ინფორმაცია იმის შესახებ თუ რომელი წყაროა სანდო.“

• თვისებრივი კვლევა

რაც შეეხება თვისებრივ კვლევას ჩატარდა ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდით. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 10 სკოლის 20-მა მასწავლებელმა. ინტერვიუს დაწყებას წინ უძღოდა პრეინტერვიუ, რომლის დროსაც მასწავლებლებს განემარტათ ინტერვიუს შინაარსი, მიზანი. ჩაღრმავებული ინტერვიუს დროს დასმული იყო ღია კითხვები. ქვემოთ მოცემულია მასწავლებელთა პასუხები ერთიანი სახით, რაც, ჩვენი აზრით, გაამარტივებს საერთო შედეგის აღქმას

1. მასწავლებლის რომელ სტატუსს ფლობთ?

ამ კითხვას უპასუხა პედაგოგთა სრულმა უმრავლესობამ. პედაგოგთა ნახევარი აღმოჩნდა უფროსი მასწავლებელი, 9 მასწავლებელი ფლობდა პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსს ხოლო 1 მასწავლებელი-წამყვანი მასწავლებლის სტატუსს.

2. რომელი საგნის პედაგოგი ხართ?

კითხვაზე პასუხი გასცა 20-მა პედაგოგმა. როგორც აღმოჩნდა კვლევაში მონაწილეობა მიიღო ყველა საგნის პედაგოგმა, გარდა ფიზიკური აღზრდის პედაგოგებისა.

3. გთხოვთ, განმარტოთ რა არის ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და ჩამოთვალოთ რომელი ტექნოლოგიები მიეკუთვნება ისტ-ს.

მასწავლებელთა უმრავლესობამ სწორად და ნათლად ჩამოაყალიბა ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განმარტება. მათი აზრით ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები ესაა ყველა ის ტექნიკური საშუალება რომელსაც ჩვენ ვიყენებთ ახალი ინფორმაციის მოძიების, ანალიზისა და თვალსაჩინოებისთვის. ასევე, მათი აზრით ისტ-ი არის მას-წავლებელთა დამხმარე რესურსი საგაკვეთილო პროცესში, რათა გაკვეთილები გახადონ უფრო საინტერესო და მოახდინონ მოსწავლეთა ყურადღების კონცენ-ტრაცია გაკვეთილზე მიწოდებული ინფორმაციის ირგვლივ.

„ ეს არის საინფორმაციო და საკომუნიკაციო წყარო. ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს მიეკუთვნება კომპიუტერი, პროექტორი, ტელეფონი თუ ყველა ის ტექნიკური საშუალება, რომელსაც ჩვენ ვიყენებთ ინფორმაციის მოსაძიებლად თუ ახალი ინფორმაციის თვალსაჩინოებისთვის.“

“ამ ტექნოლოგიებს განეკუთვნება ინტერნეტი და ის ტექნოლოგია ტელეფონი, ციფრული აპარატები, რაც დაკავშირებულია ტექნოლოგიებთან”

“ისტ-ი არის სწავლა-სწავლებისათვის საჭირო ინფორმაციების და ტექნოლოგიების ერთობლიობა. რომელსაც მიეკუთვნება კომპიუტერები, პროექტორი „ აუდიო და ვიდეო ტექნიკა”

“ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგია არის ტექნოლოგია, რომელიც საჭიროა ინფორმაციის დამუშავებისათვის. კერძოდ, ის იყენებს კომპიუტერულ ტექნიკას, კომპიუტერულ პროგრამებს ინფორმაციის დაგროვების, შენახვის, გარდაქმნისა და გადაცემისათვის. სკოლებში მუსაობისათვის ძირითადად გამოიყენება პერსონალური და პორტატული კომპიუტერები, ნეტბუკები. ზოგი მასწავლებელი და მოსწავლე იყენებს მობილურს, პლანშეტს”

“ინფორმაციული ტექნოლოგია არის ტექნოლოგია, რომელიც საჭიროა ინფორმაციის დამუშავებისთვის. მას მიეკუთვნება: კომპიუტერი პროექტორი , აუდიო.”

“ჩვენ მოვიხმართ ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს: ვსარგებლობთ მობილური ტელეფონით, ვუკავშირდებით ერთმანეთს ელექტრონული ფოსტის საშუალებით, მოვიძიებთ ინფორმაციას ინტერნეტში, ერთმანეთს ვუზიარებთ და ვუცვლით ინფორმაციას. ჩვენი ყოველდღიური თუ პროფესიული საქმიანობა სულ უფრო მეტად მოითხოვს ისტ-ის საფუძვლიან ცოდნასა და სისტემატურ გამოყენებას.”

“ისტ-ი ესა არის საშუალება, რომლითაც ვეკონტაქტებით საზოგადოებას, ვგებულობთ ახალ ინფორმაციას. საგაკვეთილო პროცესში ვიყენებთ მოსწავლე-თა ყურადღების კონცენტრაციის მიზნით-სხვადასხვა საიტებზე შევდივართ ამა თუ იმ მასალასთან დაკავშირებით, რათა კიდევ უფრო საინტერესო გავხადო, ვქმნი რესურსებს. ისტ-ს მიეკუთვნება კომპიუტერები, მობილურები...”

„ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გარეშე დღეს წარმოუდგენელია პროგრესი როგორც განათლებაში, ასევე ადამიანის საქმიანობის ნებირმიერ სფეროში, ესაა ის ტექნოლოგიები, რომლებიც ჩვენ გვჭირდება სხვადასხვა ამოცანების შესასრულებლად, ეს ტექნოლოგიები გვიზოგავს დროსა და ენერჯიას, არის ინფორმაციის სწრაფი მოძიების წყარო, მოსწავლეთა ინტერესი მაღალია მათი გამოყენებით ჩატარებული გაკვეთილების მიმართ... ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს მიეკუთვნება: კომპიუტერი, ტელეფონი, პროექტორი, აუდიო მოწყობილობები, პლანშეტი და სხვ. “

4. მიგაჩნიათ, რომ თქვენი საგნის სწავლებაში უნდა იყოს ჩართული ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები? რატომ ფიქრობთ ასე?

ამ კითხვაზე მასწავლებელთა პასუხები არაერთგვაროვანი იყო. მასწავლე-ბელთა გარკვეული ნაწილი თვლის, რომ უნდა გამოიყენონ ტექნოლოგიები სწავლების პროცესში, რადგან ტექნოლოგიების გამოყენება გაკვეთილზე სასწავლო პროცესს ხდის უფრო საინტერესოს, მოსწავლეები მეტად მოტივირებულნი არიან შეასრულონ ის დავალებები, რომლებიც დაკავშირებულია ტექნოლოგიების გამოყენებასთან, ტექნოლოგიები წარმოადგენს ერთ-ერთ საუკეთესო თვალსაჩინოებას, რაც უადვილებს მოსწავლეებს მათთვის მიწოდებული ინფორმაციის უკეთ აღქმას და გააზრებას. ასევე, მასწავლებელთა აზრით 21-ე საუკუნე ტექნოლოგიების ერაა და მისი გამოყენების გარეშე წარმატების მიღწევა ძალიან რთულია, ამიტომ მოსწავლეები უნდა ფლობდნენ თანამედროვე ტექნოლოგიებს.

„ბავშვი ხდება მეტად მოტივირებული ჩართული და შესაბამისად გაკვეთილიც მრავალფეროვანი და საინტერესო ხდება.“

„დღეს ამ ტექნოლოგიების გარეშე შეუძლებელია მოსწავლეებს ჩამოუყალიბოთ 21-ე საუკუნის უნარჩვევები და მოტივაციისა და ინტერესებიდან გამომდინარე გაკვეთილი უფრო ხდება შინარსიანი და ინოვაციური“

„ინფორმაციული ტექნოლოგიის გამოყენება საჭიროა მოსწავლეთა მხრიდან, რადგან იგი ხელს უწყობს არამარტო ტექნიკური უნარ-ჩვევების განვითარებას, არამედ ხელს უწყობს თავისუფალი და მოაზროვნე ადამიანის ჩამოყალიბებას.“

„ცხოვრებას ფეხი უნდა ავუწყოთ. არ უნდა ჩამოვრჩეთ დროს და სივრცეს. ინტერესიც ახალგაზრდობის აქეთაა-ცხოვრებამ მოიტანა, დღეს თითქმის ყვე-ლაფერი ტექნოლოგიებით იმართება როგორც, განათლებაში ისე სხვა ნების-მიერ დარგში.“

„ინტერნეტ სივრცეში უამრავი მასალაა, რომელიც დაეხმარება მოსწავლეებს მა-სალის უკეთ აღქმაში, ასევე რესურსები, ვიდეოგაკვეთილები და სხვა. ასევე შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა პროგრამები“

„21-ე საუკუნეში აუცილებელია მოსწავლე ფლობდეს თანამედროვე ტექნოლოგიებს, რადგან ახლა ციფრული ერაა, ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე რთულია ფეხი აუწყო განვითარებას და თანამედროვეობას, მოიპოვო უახლესი ინფორმაცია და დაამყარო კომუნიკაცია. სწავლების პროცესს აადვილებს და საინტერესოს ხდის ტექნოლოგიები, ამიტომ უნდა იყოს ჩართული სასწავლო პროცესში, მაგრამ რა თქმა უნდა სწავლების ტრადიციულ მეთოდებთან ერთად.“

„პროექტების სწავლების დროს ინფორმაციის მოძიებისათვის, ასევე თვალსაჩინოებებით და სხვადასხვა სასწავლო რესურსებით სარგებლობა მოსწავლეებში იწვევს მოტივაციის გაზრდას და ზრდის სწავლის ხარისხს“

თუმცა მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი თვლის, რომ ტექნოლო-გიების გამოყენება სწავლების დროს არ არის მიზანშეწონილი, რადგან ინტერ-ნეტში არსებული ინფორმაცია, რომელსაც მოსწავლე კომპიუტერის საშუალებით იღებს, ხელს უშლის ბავშვის აზროვნების განვითარებას, ასევე მასწავლებ-ლები სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების გამოყენების უარყოფით მიზეზად ასახელებენ მოსწავლეთა ტექნოლოგიებზე დამოკიდებულებას, რაც უარყოფი-თად აისახება მათ ჯანმრთელობაზე.

„არ უნდა იქნას ჩართული ტექნოლოგიები სწავლების პროცესში, რადგან იგი უარყოფითად მოქმედებს მოსწავლის აზროვნების განვითარებაზე, მოსწავლეები ნახულობენ მზა მასალას ინტერნეტში, რის შედეგადაც მათ არ სჭირდებათ მოპოვებული მასალის დახარისხება და ანალიზი.“

„ტექნოლოგიების ჩართვით სასწავლო პროცესში წიგნის, როგორც სასწავლო რესურსის როლი, გადაიწევეს უკანა პლანზე, რადგან ტექნოლოგიების გამოყენებით ადვილია ინფორმაციის მოძიება და შესაბამისად მოსწავლეები, რომლებსაც ისედაც აღარ უნდათ წიგნების კითხვა, მთალიანად ტექნოლოგიებს დაუთმობენ თავიანთ დროს და სწავლების ტრადიციული მეთოდი, რომელიც ჩემი აზრით ძალიან ეფექტურია, დავიწყებას მიეცემა“

„ჩვენი ახალგაზრდები ისედაც ტექნოლოგიებზე არიან დამოკიდებული, რაც უარყოფითად მოქმედებს მათ ჯანმრთელობაზე, კერძოდ მხედველობაზე. ყველაგან ტექნოლოგიებია დღეს და უკვე ადვილად ხელმისაწვდომი გახდა ყველასთვის. სწავლებაში მაინც უნდა დავიცვათ მოსწავლეები ტექნოლოგი-ებისაგან და წიგნების სახით მივაწოდოთ სასწავლო რესურსები, რადგან წიგნი ბევრად უსაფრთხოა“

„მე პირადად ვამჯობინებ, სწავლების ტრადიციულ მეთოდს. წიგნის როლი ვასდაუდებელია სწავლების პროცესში, წიგნების საშუალებითაც შეიძლება საინტერესო სასწავლო რესურსების შექმნა. შესაძლებელია ტექნოლოგიების ჩართვის გარეშეც მივაღწიოთ მაღალ შედეგებს სწავლაში.“

როგორც აღვნიშნე, მასწავლებელთა აზრი ორად გაიყო. მათი აზრით ტექნოლოგიების ჩართვა სასწავლო პროცესში აუცილებელია, რადგან ტექნოლოგიები თანამედროვეობის განუყოფელი ნაწილია და მათ გარეშე ინოვაციური სწავლება ვერ მოხერხდება, ასევე მასწავლებლები თვლიან, რომ ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები არის ერთ ერთ-ი საუკეთესო თვალსაჩინოება და მოსწავლეთა ინტერესი მათი გამოყენებასთან დაკავშირებით საკმაოდ დიდია. თუმცა მასწავლებელთა მეორე ნაწილი თვლის, რომ ტექნოლოგიების გამოყენებას ბევრი უარყოფითი აქვს: მოსწავლეთა ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენება, წიგნის, როგორც სასწავლო რესურსის როლის დაკნინება და მისი ტექნოლოგიებით ჩანაცვლება და ასევე ტრადიციული სწავლების მეთოდის უპირატესობა, ტექნოლოგიების გამოყენებას-თან შედარებით.

5. გთხოვთ, ჩამოთვალოთ რომელი ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებითაა აღჭურვილი თქვენი სკოლა და ტექნიკურად თუ არის გამართული იქ არსებული ტექნოლოგიები?

6. გთხოვთ ჩამოთვალოთ რომელი ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებითაა აღჭურვილი თქვენი სასწავლო კლასები და თუ არის გამართული იქ არსებული ტექნოლოგიები?

გადავწყვიტე ამ ორი კითხვის პასუხები გამეერთიანებინა, რადგან ერთგვაროვანი პასუხები მივიღე. მასწავლებელთა უმრავლესობის თქმით სკოლები აღჭურვილია: კომპიუტერებით, პროექტორებით, აუდიო სისტემე-ბით. თუმცა აღნიშნული ტექნოლოგიები მეტ-ნაკლებად გამართულია, რაც ხელს უშლის მასწავლებლებს რომ ეფექტურად გამოიყენონ ისინი სასწავლო მიზნებისათვის. მთავარი პრობლემა, მათი თქმით, არის ტექნიკურად გაუმართავი და მოძველებული ტექნიკა. ასევე არ აქვთ მაღალსიჩქარიან ინტერნეტთან წვდომა, რაც ხელისშემშლელი ფაქტორია მათ მიერ დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობების განხორციელებაში.

„ჩვენი სკოლაში არის კომპიუტერული კაბინეტი, ასევე პროექტორები და ხმის გამაძლიერებელი სისტემა. თუმცა არსებობს ბევრი პრობლემა, რის გამოც ვერ ვიყენებთ აღნიშნულ ტექნოლოგიებს, კერძოდ, კომპიუტერები საკმაოდ მოძველებულია და არ შეუძლია სხვადასხვა ბრძანებების შესრულება, მასთან მუშაობის დროს ხშირად ითიშება და იმ მომენტში შექმნილ ინფორმაციას აღარ ინახავს, რაც დიდ დისკომფორტს გვიქმნის.“

„სკოლაში არის კომპიუტერები და რამდენიმე პროექტორი. რომელთან მუშაობაც შეუძლიათ როგორც მოსწავლეებს, ასევე ჩვენ, პედაგოგებს. კომპიუტერები საკმარისი რაოდენობისაა, თუმცა, უნდა აღვნიშნო, რომ ტექნიკურად ცოტა არ იყოს გაუმართავია. გასაახლებელია ტექნიკა რადგან სკოლაში ძალიან საჭიროა ტექნიკურად გამართული ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების არსებობა.“

„სკოლა აღჭურვილია სხვადასხვა ტექნოლოგიით, ესენია: კომპიუტერები, აუდიო და ვიდეო ტექნიკა, პროექტორები. აღნიშნული ტექნოლოგიები ტექნიკურად მეტ-ნაკლებად გამართულია. ეს იმას ნიშნავს, რომ შეიძლება მათი გამოყენება, თუმცა რიგ

შემთხვევებში პრობლემები გვექმნება მასთან მუშაობის დროს. ხშირად გამოდის მწყობრიდან და შესაძლებელია გაკვეთილიც კი ჩაგვეშალოს. “

„ჩვენს სკოლაში არსებული ტექნოლოგიები: კომპიუტერები და პროექტორები (სულ 2 კაბინეტშია), პროექტორებს იშვიათად ვიყენებთ, ძირითადად პრეზენტაციებისათვის, ხოლო კომპიუტერულ კაბინეტს საკმაოდ ხშირად. თუმცა აღსანიშნავია კომპიუტერების სიმცირე. ჩვენს სკოლაში არსებული კომპიუტერების რაოდენობა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ შეძლონ მასწავლებლებმაც და მოსწავლეებმაც ეფექტურად მათი გამოყენება. ხშირად არის შემთხვევა, როცა გვიწევს ლოდინი კომპიუტერების კაბინეტთან, კომპიუტერთან ადგილის გათავისუფლებამდე. რაც გვაკარგვინებს დროს.“

ასეთივე მდგომარეობაა სასწავლო კლასებში, რომლებიც ძალიან მცირე შემთხვევაშია აღჭურვილი ტექნოლოგიებით. ეს ტექნოლოგიებია კომპიუტერები, პროექტორები და აუდიო სისტემა. თუმცა, როგორც მასწავლებელთა პასუხებიდან სჩანს აღნიშნული ტექნოლოგიები მხოლოდ რამდენიმე საგნის კაბინეტშია და თავად უწევთ საკუთარი ლეპტოპებისა თუ მობილური ტელეფონების გამოყენება გაკვეთილებზე.

„კლასებში ძირითადად არ არის ტექნოლოგიები. მხოლოდ საგნის კაბინეტებშია აღჭურვილი კომპიუტერით, პროექტორით და ხმის გამაძლიერებლებით. რის გამოც გვიჭირს მოსწავლეთათვის ისეთი დავალების მიცემა, რაც დაკავშირებულია ტექნოლოგიების გამოყენებით პრეზენტაციის გაკეთებასთან“

„სასწავლო კლასებში არ არის ტექნოლოგიები, რის გამოც გვიწევს საკუთარი ტექნიკის მოტანა სკოლაში“

7. იყენებთ თუ არა სკოლაში არსებულ ტექნოლოგიებს სასწავლო პროცესში და რა მიზნით იყენებთ მათ?

ამ კითხვაზე მასწავლებელთა გარკვეულმა ნაწილმა დადებითი პასუხი გაგვცა. მათი პასუხების მიხედვით, ისინი შეძლებისდაგვარად იყენებენ სკოლაში არსებულ ტექნოლოგიურ რესურსს.

„გაკვეთილის პროცესში ვიყენებთ კომპიუტერს და პროექტორს, მასალის მოძიების მიზნით ასევე თვალსაჩინოებებისთვის“

„ვიყენებთ მობილურ ტელეფონს, კომპიუტერს, ინტერნეტს“

„ვარ მათემატიკის პედაგოგი, ვიყენებ კომპიუტერს და პროექტორს სივრცითი ფიგურების და სივრცითი გრაფიკების საჩვენებლად“

„ვიყენებ როგორც სკოლაში არსებულ, ასევე საკუთარ რესურსებსაც: პერსონალურ კომპიუტერს, პორტატულ კომპიუტერს, ბუკი, პროექტორი, მობილური, პლანშეტი, პროექტორი, რათა საგაკვეთილო პროცესი გავხადო მეტად საინტერესო მოსწავლეებისათვის, ხოლო მასალა ადვილად აღსაქმელი“

„ვიყენებ კომპიუტერს, ტელეფონს, პროექტორს, აღნიშნული ტექნოლოგიები ხელს უწყობს საგანთა შორის კავშირს. ინოვაციური მიდგომების განვითარებას. ასევე ახალი სიტყვებისა და ფრაზების შესწავლას უცხო ენაზე“

„დიახ, როგორ არა, ვიყენებ მობილურ ტელეფონს, კომპიუტერს და პროექტორს უცხო ტექსტების მოსმენისა და მოსმენის დავალებების გაუმჯობესებისათვის“

„ვიყენებ მობილურ ტელეფონს და კომპიუტერს ზოგჯერ, მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდის მიზნით გაკვეთილის სხვადასხვა ფაზაზე, გააჩნია თემას.“

თუმცა მასწავლებელთა გარკვეულმა ნაწილმა ამ კითხვაზე უარყოფითი პასუხი გაგვცა. ისინი თვლიან, რომ ისტ-ის გამოყენება არ არის საჭირო მათ საგანში, ასევე პრობლემაა ნაკლებად განვითარებული ტექნოლოგიური უნარები.

„მე ქართულის პედაგოგი ვარ და ჩემი საგანი არ საჭიროებს ისტ-ის გამოყენებას. ტექნოლოგიები გამოიყენონ თავად ამ საგნის მასწავლებლებმა, ან ხელოვნებამ, რომ ფილმი აჩვენონ მოსწავლეებს, მე კომპიუტერში თემებს ხომ ვერ დავაწერინებ ჩემს ბავშვებს?!“

„ტექნოლოგიებს არ ვიყენებ, რადგან, ჩემი აზრით, მოსწავლეები წიგნებიდან მეტს სწავლობენ და ითვისებენ ვიდრე ტექნოლოგიებიდან, არა მგონია რომელიმე

მოსწავლე შემეცნებისთვის იყენებდეს ტექნოლოგიას, მათ მხოლოდ გასართობად უნდათ ის“

„არა, რადგან არ ვთვლი ჩემს საგანში ტექნოლოგიების გამოყენების საჭიროებას გაკვეთილზე“

„გამოყენება გვინდა, მაგრამ ეფექტურად ვიყენებთ, რადგან არ გავაჩნია საკმარისი ცოდნა ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებით. მოსწავლეებმა უკეთ იციან რა თქმა უნდა და მათი დახმარებით ზოგჯერ ვახერხებთ ხოლმე ტექნოლოგიების გამოყენებით სწავლებას.“

ზოგ მასწავლებელს კი უნდა გამოყენება, თუმცა სკოლაში საკმარისი რესურსის არ არსებობის გამო ვერ ახერხებენ მის გამოყენებას:

„გაკვეთილზე საჭიროა ისტ-ის გამოყენება თუმცა ტექნოლოგიების არ არსებობის გამო ვერ ვიყენებთ გაკვეთილზე, მაგალითად გვჭირდება პროექტორი, რომელიც არ გვაქვს, შესაბამისად ვერ ვაკეთებთ პრეზენტაციებს გაკვეთილზე და მეც შეზღუდული ვარ, ვერ ვაძლევ მოსწავლეებს მსგავს დავალებებს.“

საბოლოოდ, უნდა აღინიშნოს, რომ მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი იყენებს ტექნოლოგიებს და მათი დამოკიდებულებაც დადებითია ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებით, მათი აზრით ტექნოლოგიები ეხმარებათ მათ მოსწავლეებში ინტერესის გაღვივებაში, თვალსაჩინოებების შექმნასა თუ დამატებითი მასალის მოპოვებაში, თუმცა მათი გარკვეული ნაწილი უარყოფითადაა განწყობილი ტექნოლოგიებისადმი და არ სურს გამოიყენოს ისინი სწავლების დროს, ხოლო ნაწილს რესურსის არ ქონის გამო უწევს უარი თქვას მის გამოყენებაზე საგაკვეთილო პროცესში, მიუხედავად სურვილისა.

8. რა სიხშირით იყენებთ აღნიშნულ ტექნოლოგიებს?

ამ კითხვაზე პასუხი გასცა 16-მა პედაგოგმა , რადგან დანარჩენი 4 პედაგოგი თვლიდა, რომ არ არის საჭირო ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლო-გიების გამოყენება სასწავლო პროცესში, ან მათ არ ქონდათ საკმარისი რესურსი ტექნოლოგიების საშუალებით გაკვეთილების ჩასატარებლად. როგორც პედაგოგთა

უმრავლესობის პასუხებიდან ჩანს, ისინი ტექნოლოგიებს იყენებენ თვეში რამდენჯერმე. მათი მცირე ნაწილი კი იყენებს მაქსიმუმ კვირაში ერთხელ.

„ტექნოლოგიებს ვიყენებ თვეში ერთხელ ან რამდენჯერმე, გაკვეთილის თემის შესაბამისად“

„თვეში რამდენჯერმე ვიყენებ, ზუსტად ვერ გეტყვით, გააჩნია მასალას“

„საშუალოდ კვირაში ერთხელ“

„წელიწადში რამდენჯერმე, რადგან წიგნში იმდენი სამუშაოა ხშირად არ გვჩება დრო ტექნოლოგიების გამოყენებისთვის“

9. რა მეთოდებს მიმართავთ ისტ-ის გაკვეთილის პროცესში ჩასართავად?

ზემოთ მოცემული კითხვა დავუსვი იმ პედაგოგებს, რომელთა პასუხი კითხვაზე -„იყენებთ თუ არა ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს გაკვეთილზე და რა სხიშირით?“ იყო დადებითი. შესაბამისად კითხვაზე მიპასუხა 16-მა მასწავლებელმა. მასწავლებელთა პასუხების მიხედვით მოსწავლეები , მათი დავალებით, აკეთებენ პრეზენტაციებს power point-ის მეშვეობით იმ რაოდენობითა და სიხშირით, რის საშუალებასაც სკოლაში არსებული ტექნიკური რესურსი იძლევა, ასევე ისინი მოსწავლეებს აძლევენ დავალებად მოიძიონ დამატებითი ინფორმაცია ინტერნეტში, გაკვეთილის თემაზე. გაკვეთილის მიმდინარეობის დროს იყენებენ აუდიო მოწობილობებს, ასმენინებენ მოსწავლეებს სხვადასხვა კომპოზიტორის ნაწარმოებს, აწყობენ კინო ჩვენებებს და სხვ.

„შეძლებისდაგვარად ხშირად ვაძლევ დავალებად პრეზენტაციის გაკეთებას power point-ის მეშვეობით გარკვეული თემების შესახებ, ასე ინფორმაციის მოძიებას, მის ანალიზსაც წავლობენ და პრეზენტაციის გაკეთებასაც“

„წიგნებში მოცემული ინფორმაციის გარდა, საშინაო დავალებად ვაძლევ დამატებითი ინფორმაციის მოძიებას. რასაც დიდი ხალისით აკეთებენ, რადგან ტექნოლოგიას უკავშირდება ეს დავალება, ხოლო რაც ტექნოლოგიასთანაა კავშირში, მოსწავლეები მეტი მონდომებით ეკიდებიან“

„გაკვეთილის ფარგლებში ვაწყობთ სხვადასხვა ქართულ ნაწარმოებზე შექმნილი ფილმების ჩვენებას, შემდეგ ვადარებთ ნასწავლი ნაწარმოებისა და ფილმის შინაარსს, ვეკითხები მოსწავლეებს რა იყო მათთვის საინტერესო, ვმსჯელობთ ნაწარმოების ირგვლივ. ამ გზით ისინი ადვილად იმახსოვრებენ ნაწარმოებებს და თან სახალისო და საინტერესოა მათთვის.“

„ჩემი საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, ხშირად მიწევს ტექნოლო-გიების გამოყენება. მოსწავლეებს ხშირად ვასმენინებ სხვადასხვა კომპოზიტორთა კომპოზიციებს, შემდეგ ერთად ვარჩევთ მათ, თუ რომელი საკრავების საშუალებით სრულდება ესა თუ ის ნაწარმოები, რა ზომაზეა დაწერილი და სხვ.. მოსწავლეებს ძალიან მოსწონთ და თიტქმის სრული უმრავლესობაა ჩართული საგაკვეთილო პროცესში “

„ტექნოლოგიების ყველა საკვეთილზე ვიყენებ, რადგან ჩემი საგანი უშუალო კავშირშია ტექნოლოგიებთან. მოსწავლეები დიდი ინტერესით ერთვებიან ყველა აქტივობასა თუ ამოცანის გადაჭრაში, რაც ტექნოლოგიებთანაა დაკავშირებული.“

„სხვადასხვა მეთოდებს ვიყენებ. მაგალითად როგორცაა: ინფორმაციის მოძიება, პრეზენტაციების გაკეთება, ასევე ტექნოლოგიებს ვიყენებ საგაკვეთი-ლო პროცესშიც, ახალი მასალის თვალსაჩინოებისათვის. ინტერნეტში არსებული სხვადასხვა თამაშების, სიმღერების, მოკლე ტექსტების საშუალებით ბევრ უცხო სიტყვას სწავლობენ ჩემი მოსწავლეები.“

10. მივიღიათ თუ არა მონაწილეობა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მიერ ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ ჩატარებულ ტრენინგებში და როგორია თქვენი დამოკიდებულება აღნიშნულ ტრენინგთან დაკავშირებით?

აღნიშნულ კითხვაზე მასწავლებელთა პასუხი ერთგვაროვანი იყო. მათი აზრით არ არის საკმარისი ტრენინგები და საჭიროა მეტად იზრუნოს სამინისტრომ მასწავლე ბელთა მიერ ისტ-ის შესწავლაზე:

„მონაწილეობა მიგვიღია, თუმცა ვფიქრობ, რომ უფრო მეტი ტრენინგი უნდა ტარდებოდეს ამ მხრივ, რათა მეტი ცოდნა შევიძინოთ“

„არ მიმიღია, რადგან ძალიან იშვიათად ტარდება ასეთი ტრენინგები. ჩვენ სწავლების ტრადიციულ მეთოდს მიჩვეული ვართ და ტექნოლოგიების გამოყენებით სწავლება არც ისე ადვილია ჩვენთვის, ამიტომ სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს ჩვენი განათლება ამ მხრივ, ჩვენც მოვინდომებთ და ასე აშენდება სოფელი“

„დიახ, ზოგჯერ ვიღებთ მონაწილეობას, თუმცა არასაკმარისია. უფრო ხშირად თუ ჩატარდება მსგავსი ტრენინგები მივესალმებით ამ ფაქტს“

„ბევრმა ჩვენგანმა არ იცის კომპიუტერთან, პროექტორთან მუშაობა თუ სხვა ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება. ამიტომ ჩემი აზრით როგორც სამინისტრო, ასევე დირექცია უნდა ზრუნავდეს მასწავლებელთა მეტი ინფორმირებულობისათვის და განათლებისათვის ამ საკითხში“

დასკვნები:

- ✓ კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საჩხერის რაიონის სკოლებში ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა არც ისე მაღალია როგორც მოსწავლეებისათვის, ასევე მასწავლებლებისათვის.
- ✓ კვლევის შედეგად გამოიკვეთა ის მთავარი ფაქტორები, რომლებიც დაბალი ხელმისაწვდომობის მიზეზია. ესენია: არასაკმარისი და მოძველებული ტექნიკა, დაბალ-სიჩქარიანი ინტერნეტი და გაუმართავი ტექნოლოგიებით აღჭურვილი სკოლები.
- ✓ კვლევამ დაადასტურა ჩვენი ჰიპოთეზა, მასწავლებლები ნაკლებად იყენებენ ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს სწავლების პროცესში. როგორც მოსწავლეთა, ასევე მასწავლებლების პასუხებიდან სჩანს რომ მასწავლებლების მიერ ტექნოლოგიების საკმაოდ იშვიათი გამოყენება შეინიშნება საჩხერის რაიონის სკოლებში.
- ✓ დადგინდა ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების იშვიათად გამოყენების მიზეზები. ესენია ერთის მხრივ მოძველებული და არასაკმარისი ტექნიკა, ისევე როგორც დაბალ-სიჩქარიანი ინტერნეტი, ხოლო მეორეს მხრივ მასწავლებელთა მიერ ტექნოლოგიების გამოყენებისადმი დაბალი მზაობა, რაც ამტკიცებს ჩვენს კიდევ ერთ ჰიპოთეზას. მასწავლებელთა აზრით, უმჯობესი იქნება სამინისტრომ დაგეგმოს მეტი ტრენინგი ამ მხრივ, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა დაეუფლონ ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს და სწავლებაში გამოიყენონ
- ✓ მოსწავლეთა დამოკიდებულება ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწავლის პროცესში ჩართვის მიმართ დადებითია. მათი აზრით ტექნოლოგიების გამოყენებით სასწავლო პროცესი მეტად საინტერესო და მარტივი ხდება. თუმცა მასწავლებელთა დამოკიდებულება ისტ-ის გაკვეთილზე გამოყენების მიმართ არაერთგვაროვანია. რესპონდენტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ უნდა იქნას ტექნოლოგიები გამოყენებული სწავლების დროს, რადგან ისინი ერთ-ერთი

საუკეთესო თვალსაჩინოებაა და მოსწავლეები დიდი ხალისით ასრულებენ ტექნოლოგიების გამოყენებით შესასრულებელ დავალებებს, ხოლო მეორე ნაწილი თვლის, რომ ტექნოლოგიები მხოლოდ სასწავლო საგნის, „ისტ-ის“ ფარგლებში ან ხელოვნებისა და მუსიკის გაკვეთილზე უნდა იქნას გამოყენებული და მაგალითად ქართული ლიტერატურის გაკვეთილზე ვერ გამოიყენებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მასწავლებელთა ცნობიერება ამ მხრივ ძალიან დაბალია.

- ✓ კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი საკმაოდ აქტიურად იყენებს ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწავლების პროცესში, რაც მათი აზრით, საგაკვეთილო პროცესს უფრო აქტიურს, შემოქმედებითს და საინტერესოს ხდის. ეს ფაქტი ნამდვილად კარგია მოსწავლეთათვის, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნე მოსწავლეთა დადებითი დამოკიდებულებიდან გამომდინარე ისინი მეტად მოტივირებულნი არიან და მეტი ხალისით ეკიდებიან სწავლას.

რეკომენდაციები

- ✓ მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფომ განახორციელა ბევრი პროექტი, რომლებიც მიზანდ ისახავდა სკოლების ტექნოლოგიებით აღჭურვას, საჩხერის რაიონში ამ მხრივ კვლავ პრობლემაა. უნდა მოხდეს ძველი ტექნიკის ახალი ტექნოლოგიებით ჩანაცვლება, რათა მოსწავლეებსა და მასწავლებლებს ჰქონდეთ საშუალება ეფექტურად გამოიყენონ იგი სწავლების პროცესში.
- ✓ როგორც კვლევამ გვიჩვენა სკოლების ნაწილი მაინც არის აღჭურვილი ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით, მაგრამ ამ შემთხვევაშიც არ ხდება მათი ეფექტურად და ხშირად გამოყენება გაკვეთილებზე, ამიტომ უნდა მოხდეს მასწავლებელთა გადამზადება. მათ უნდა ჩაუტარდეთ ტრენინგები ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ, რათა მათთვის უცხო არ იყოს ეს ტექნოლოგიები და შეძლონ სწავლების პროცესში მათი სასწავლო მიზნებისთვის გამოყენება. ასევე აღნიშნულ ტრენინგებზე უნდა გახდეს ნათელი მასწავლებლებისათვის ტექნოლოგიების გამოყენების მნიშვნელობა განათლებაში.
- ✓ ისტ-ის განათლების პროცესში ინტეგრაციისათვის სხვადასხვა ღონისძიებებს უნდა მიმართოს დირექციამ. უნდა მოხდეს იმ მასწავლებელთა წახალისება, რომლები იყენებენ ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს გაკვეთილზე. ასევე უნდა მოხდეს მასწავლებელთა შორის ინფორმაციის გაცვლა, ურთიერთანამშრომლობა. შესაძლებელია ჩატარდეს საერთო გაკვეთილები რამდენიმე საგანში. უნდა მოხდეს როგორც მოსწავლეთა დაინტერესება, ასევე მასწავლებელთა დაინტერესება და ამაში დირექციამაც უნდა ითამაშოს გარკვეული როლი.

[83%96%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%97%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1.pdf](#)

12. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ვებ გვერდი
 - a. <http://mes.gov.ge/>
13. კანონი ზოგადი განათლების შესახებ
14. საგნობრივი პროგრამა ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში
15. <http://www.idit.ge/ge/post/informaciuli-teqnologiebis-gamoyeneba-saganmanatleblo-sivrceshi>
16. ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნები
17. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/11098?publication=0>
18. ეროვნული სასწავლო გეგმა.
 - a. <http://ncp.ge/ge/curriculum/satesto-seqtsia/akhali-sastsavlo-gegmebi-2018-2024/datskebiti-safekhuri-i-vi-klasebi-damtkitsda-2016-tsels>
19. National Curriculum for Basic Schools, The Government of Estonia
 - a. https://www.hm.ee/sites/default/files/est_basic_school_nat_cur_2014_appendix_7_final.pdf
20. ლაბაძე მ. 2013 საგანმანათლებლო ტექნოლოგიების თანამედროვე ტენდენციები
 - a. <http://mastsavlebeli.ge/?p=2166>
21. Ministry of Education Republic of Azerbaijan
 - a. <https://edu.gov.az/en/page/283>

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Psychology and Educational Sciences

Master's program “**Educational Sciences**”

Kapanadze Sophio

Research of disciplinary committee activities and the practice of
disciplinary institutions in public schools

Research of the availability of information and communication technologies
and their integration into the learning process

Master's thesis advisor: Rusudan Sanadze
Associate Professor of Faculty of Psychology and Educational Sciences at TSU,
Doctor of Pedagogical sciences

Tbilisi

2019